ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შოთა მალაშხია: „მალე კრემლის ბოგინი საქართველოშიც შეწყდება“

გვ.5

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ხუთშაბათი, 12 აპრილი, 2018 №85 (7630) ფასი: 50 თეთრი

კობახიძემ და კვირიკაშვილმა კალაძის გამო იჩხუბეს

გვ.2

რა ინფორმაცია მიუტანა ბიძინა ივანიშვილს დავით კეზერაშვილმა

კალაძემ კვირიკაშვილთან შუამავლად ირაკლი კობახიძე გააგზავნა. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ცნობით, მათ შორის შეხვედრა რამდენიმე დღის წინ შედგა. პარლამენტის სპიკერმა პრემიერს სთხოვა, უარი ეთქვა პრეზიდენტობისთვის ბრძოლაზე.

გიგლა ბარამიძე: „ჩუგოშვილს და ლომჯარიას ჩავლებული აქვთ ხელი კობახიძის კულულებში და საითაც უნდათ, იქით აჭრიალებენ“

გვ.3

გვ.4

ჯონდი ბაღათურია: „ქართული ოცნება“ ნინიას ოცნება ყოფილა“

სამართალი

რას ჰყვებიან თვითმხილველები ვეძისში შეიარაღებული თავდასხმის შესახებ

გვ.7

ირაკლი ფირცხალავა ზურაბ ბაქრაძეს ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს

ზაზა სარალიძე: მოწმემ გამოძიების მხრიდან ზეწოლაზე ილაპარაკა და თქვა, რომ მამამისს სცემდნენ

ქობულეთში დაცვის პოლიციის კუთვნილი ავტომობილი 8 წლის ბავშვს დაეჯახა

ეკონომიკა

გვ.6

„სითი პარკთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია“

სპეციალისტები ლარის გამყარებას საგარეო ფაქტორებს უკავშირებენ

თბილისის მერია ერთ ჰიბრიდულ ავტომობილს 49,6 ათას ლარად ყიდულობს



2018 წლის სამ თვეში ტურისტებმა საქართველოში 561 მილიონი დოლარი დახარჯეს

ISSN 1987-9385

4 გია ჟორჟოლიანი: „დღეს არსაიდან გასვლას არ ვაპირებთ“

2 ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გვაჩვენებს, რომელი ფრთა იმარჯვებს“

4 ზაზა ბიბილაშვილი: „ქართული ოცნების“ დრო დამთავრდა“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გვაჩვენებს, რომელი ფრთა იმარჯვებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესები რამდენად იქონიებს საპრეზიდენტო არჩევნებზე, კანდიდატის შესარჩევ პროცესზე გავლენას?

– შემდეგი პრობლემა, რაც „ქართულ ოცნებაში“ აუცილებლად დადგება, ეს საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა იქნება. როგორც ჩანს, საქმე ასე მარტივად არ არის და მხოლოდ ნინია კაკაბაძის პრობლემა არ დგას. ჩემი აზრით, პრობლემა ბევრად უფრო ღრმა არის. რამდენიმე დაჯგუფება არსებობს და ეს ხალხი თავიანთი ინტერესების დასაცავად იბრძვის. ამ ჯგუფებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ვინ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ დაპირისპირების შემდეგი საგანი საპრეზიდენტო კანდიდატი იქნება. ვნახოთ, რომელი ჯგუფი შეძლებს გამარჯვებას.

– კონსტიტუციით დიდი ძალაუფლება არ აქვს პრეზიდენტს და იქნებ ასე დრამატულად არ განვითარდეს მოვლენები?

– ასე არ ვფიქრობ, პირიქით მგონია. საკმაოდ დრამატულ მოვლენებს უნდა ველოდოთ სწორედ საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით.

– საპრეზიდენტო კანდიდატი გამოავლენს, თუ რომელმა ჯგუფმა გაიმარჯვა?

– ყოველ შემთხვევაში, საორიენტაციოდ ამის თქმა შეგვეძლება. ამის შემდეგ გაყოფის პროცესი კი არ შეჩერდება, პირიქით უფრო გაძლიერდება. რეალურად ამ პროცესის მთავარი აზრი ისაა, თუ ვინ იქნება წამყვანი ფიგურა და ვინ დააკომპლექტებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სიას. მთელი ბრძოლა ძალაუფლების

> „ასეთი ბრძოლა ყოველთვის მთავრდება პარტიების გაყოფით. უმცირესობა მიდის ოპოზიციაში, უმრავლესობა კი აგრძელებს, სანამ შეძლებს მართვას. ამ შემთხვევაშიც ეს გარდაუვალი პროცესია, ამის არაერთი მაგალითი გვაქვს წარსულში. თითქმის ყველა მმართველი პარტია ასე გაიყო“

მოპოვებაზეა.

ასეთი ბრძოლა ყოველთვის მთავრდება პარტიების გაყოფით. უმცირესობა მიდის ოპოზიციაში, უმრავლესობა კი აგრძელებს, სანამ შეძლებს მართვას. ამ შემთხვევაშიც ეს გარდაუვალი პროცესია, ამის არაერთი მაგალითი გვაქვს წარსულში. თითქმის ყველა მმართველი პარტია ასე გაიყო. ამ შემთხვევაშიც „ქართული ოცნების“ ნაწილი, რომელიც უმცირესობაში იქნება, წავა ოპოზიციაში, უმრავლესობა კი მომავალ საპარლამენტო სიას შეადგენს.

„მოქალაქეთა კავშირიც“ ამიტომ გაიყო. ახალგაზრდულ ფრთას უნდოდა, ძალაუფლება ხელში ჩაეგდო და ჩაიგდო კიდეც, არა მხოლოდ პარტიის ძალაუფლება, ქვეყნის ძალაუფლება. ნაციონალური მოძრაობაც სწორედ ამ მიზეზით გაიყო. ბურჯანაძე 2008 წელს დამოუკიდებლად რატომ გავიდა?!

– სიებზე ვერ შეთანხმდნენ.

– დიახ, თუ ვის ეყოლებოდა უმრავლესობა პარლამენტში, ამაზე იყო მთელი ამბავი. ყველგან ერთი და იგივე მიზეზია, უბრალოდ, ამაზე ღიად არავინ არ საუბრობს. ბევრად უფრო ადვილია მაღალ ღირებულებებზე საუბარი. არადა, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველთვის ერთი ღირებულება იყო წარმმართველი – ძალაუფლება, ვინ ჩაიგდებს ძალაუფლებას ხელში!

– პროცესებში ჩაერევა ივანიშვილი?

– ჯერჯერობით გარედან აკვირდება. თუ პროცესი გამწვავდება და მისთვის მიუღებელი, არასასურველი მიმართულებით წავიდა, მაშინ ჩაერევა.

– კალაძის ფაქტორი რა როლს ითამაშებს ამ პროცესში, კანდიდატის შერჩევაში მიიღებს მონაწილეობას?

– საბოლოო სიტყვას ალბათ მაინც ივანიშვილი იტყვის. კანდიდატების შერჩევაში არ მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ შერჩეულიდან თუ ვინ იქნება, ალბათ ივანიშვილი იტყვის.

რაც შეეხება კალაძის ფაქტორს და როლს, მას ნამდვილად აქვს მაღალი ლეგიტიმაცია, ის დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არის არჩეული, მაგრამ ჯერ არ მგონია, რომ მას ეცალოს ასე აქტიურად ამ პროცესებისთვის. საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაში ძალიან აქტიური ალბათ არ იქნება თუ, რასაკვირველია, მისთვის კატეგორიულად მიუღებელი კანდიდატი არ იქნა შერჩეული. ამ შემთხვევაში კალაძის პოლიტიკური კაპიტალი არის არა „ქართულ ოცნებაში“, არამედ იმაში, თუ როგორ შეძლებს ის ამ ორი წლის განმავლობაში, რაც საპარლამენტო არჩევნებამდე არის დარჩენილი, თავის წარმოჩენას.

კობახიძემ და კვირიკაშვილმა კალაძის გამო იჩხუბეს

რა ინფორმაცია მიუტანა ბიძინა ივანიშვილს დავით კეზერაშვილმა

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ პარტიაში იმაზე ცუდად არის საქმე, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთმანეთს პარლამენტის თავმჯდომარე და მთავრობის მეთაური დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების მიზეზი კი, დედაქალაქის მერი კახა კალაძე იყო.

რამდენიმე დღის წინ გაზეთ „ქრონიკა +“-ის რედაქტორმა, ელისო კილაძემ, სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა, კახა კალაძეს თბილისის მერობა მობეზრდა და პრეზიდენტად სურს კენჭისყრაო. კილაძე იმასაც ამბობდა, რომ ამის შესახებ თბილისის მერი ბიძინა ივანიშვილსაც

ესაუბრა.

ამ ინფორმაციას მეოცნებეებმა სისულელე და მონაჭორი უწოდეს. თუმცა უარყოფა ძალიან მალე შეწყვიტეს. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ კალაძეს ყოფილ პრემიერთან მართლაც ჰქონდა ამ თემაზე საუბარი.

მისივე ინფორმაციით, შეხვედრას პარლამენტის სპიკერი ირაკლი კობახიძეც ესწრებოდა. კალაძემ ივანიშვილს უთხრა, რომ მზადაა, საარჩევნო კამპანია საკუთარი სახსრებით დააფინანსოს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კალაძეს საპრეზიდენტო ამბიციები ჯერ კიდევ ნაციონალების დროს ჰქონდა. მაშინ ის სააკაშვილთან დაახლოებული პირი იყო და მესამე პრეზიდენტი თავის მემკვიდრედ მის დასახელებას აპირებდა. მერე მათი გზები გაიყარა და კალაძე ივანიშვილის გუნდში აღმოჩნდა. ახლა ის თბილისის მერია, მაგრამ კიდევ ერთხელ გაუჩნდა საპრეზიდენტო ამბიციები.

ჩვენი წყარო არ აკონკრეტებს, რა უთხრა ივანიშვილმა კალაძეს შეთავაზებაზე, მაგრამ თუ მოვლენების განვითარებით ვიმსჯელებთ, გიორგი კვირიკაშვილთან დალაპარაკება ურჩია.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ „ოცნება“ თავის საპრეზიდენტო კანდიდატად სწორედ კვირიკაშვილს განიხილავდა. მას პრემიერის პოსტი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე უნდა დაეტოვებინა.

რაღაც მომენტში მან ამ შეთავაზებაზე უარი თქვა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, სწორედ ამით იყო განპირობებული მისი განცხადება, რომ ყვავ-ყორნები ტყუილად დასტრიალებენ და მისი გადადგომის წამმზომი კარგა ხანს არ ჩაირთვება.

ამის გამო მან მთავარი მეოცნებისგან საყვედური მიიღო და მთავრობის მეთაური საპრეზიდენტო მარათონში ჩართვას დათანხმდა. მოულოდნელად ეს ამბიციები კალაძეს გაუჩნდა.

> კალაძემ კვირიკაშვილთან შუამავლად ირაკლი კობახიძე გააგზავნა. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ცნობით, მათ შორის შეხვედრა რამდენიმე დღის წინ შედგა. პარლამენტის სპიკერმა პრემიერს სთხოვა, უარი ეთქვა პრეზიდენტობისთვის ბრძოლაზე.

კალაძემ კვირიკაშვილთან შუამავლად ირაკლი კობახიძე გააგზავნა. „ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ცნობით, მათ შორის შეხვედრა რამდენიმე დღის წინ შედგა. პარლამენტის სპიკერმა პრემიერს სთხოვა, უარი ეთქვა პრეზიდენტობისთვის ბრძოლაზე.

ამაზე კვირიკაშვილი გაბრაზდა და, ჩვენი წყაროს ცნობით, „კახურად გაჭედა“. ტოლი არც კობახიძემ დაუდო და მათ შორის დიდი ჩხუბი გაიმართა.

ამ ჩხუბის მეორე დღეს პარლამენტში ირაკლი კობახიძის შესაძლო გადაყენებაზე ალაპარაკდნენ. სპიკერის მიმართ განსაკუთრებულ აგრესიას ამჟღავნებდა და ამჟღავნებს დეპუტატი დავით ჭიჭინაძე, რომელიც გიორგი კვირიკაშვილთან დაახლოებულ პირად ითვლება.

ახლა ყველაფერი ბიძინა ივანიშვილზეა დამოკიდებული, რომელსაც, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, თავისი გასჭირვებია. ის ძალიან არის გაბრაზებული თავის დეიდაშვილ უჩა მამაცაშვილზე, რომელმაც ივანიშვილის მოთხოვნით თანაინვესტირების ფონდი დატოვა.

მამაცაშვილის საგმირო საქმეების შესახებ კი ივანიშვილისთვის ინფორმაცია დავით კეზერაშვილს მიუტანია, რომელიც, თავის მხრივ, „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი დამფინანსებელია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ჩუგოშვილს და ლომჯარიას ჩავლებული აქვთ ხელი კობახიძის კულულებში და საითაც უნდათ, იქით ატრიალებენ“

„საპარლამენტო უმრავლესობიდან წამოსულები კვირიკაშვილის გარშემო ერთიანდებიან“

შორენა მარსაგიშვილი

გიგლა ბარამიძე: „ოცნებას“ ბოკერიას გუნდი ჩაანაცვლებს“

რა ხდება მმართველ გუნდში, რამდენ ნაწილად გაიყო საპარლამენტო უმრავლესობა, რა შანსი გაუჩნდა „ევროპულ საქართველოს“, რა უნდა დააბრალოს ხალხმა საკუთარ თავს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– „ქართული ოცნება“ დაშლის პირასაა. ჩვენ ჯერ კიდევ შარშან ვამბობდით, რომ მმართველ გუნდში რღვევის პროცესი დაიწყებოდა. მმართველ გუნდში საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე გამოიკვეთა რამდენიმე დაჯგუფება. ისინი მთელი ეს პერიოდი ჭამდნენ ერთმანეთს. დაპირისპირება აქამდეც იყო, უბრალოდ, ახლა გამოიტანეს სააშკარაოზე.

თამარ ჩუგოშვილს და მის დაქალ ნინო ლომჯარიას ჩავლებული აქვთ ხელი ირაკლი კობახიძის კულულებისთვის და საითაც უნდათ, იმ მიმართულებით ატრიალებენ.

ეს ყმაწვილკაცი აკეთებს იმას, რასაც ეს ქალები ეტყვიან. ირაკლი კობახიძე ძალიან დიდ გაუგებრობაშია მოხვედრილი, არადა ჰგონია, რომ დიდი პოლიტიკოსია.

თავისი პოზიციების გამყარებას ცდილობს საპარლამენტო უმრავლესობაში არსებული ბიზნესმენების მცირე ჯგუფი. „ოცნებაში“ ასევე არის შედარებით დამოუკიდებელი დეპუტატების ჯგუფი. სხვებისგან განსხვავებით, მათ ღირსებასთან მიახლოებული ინსტინქტები გააჩნიათ. ისინი ხვდებიან, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია.

შედარებით დამოუკიდებელი დეპუტატები იმასაც კარგად აცნობიერებენ, რომ მათი თანაგუნდელების დიდი ნაწილი ხელის ჩამორთმევასაც კი არ იმსახურებს. აქამდე ამ ხალხს დასცინოდნენ, ახლა ისინი ეზიზღებათ.

– თუ ეზიზღებათ, რატომ არიან მათთან ერთად?

– ეს მათ უნდა ვკითხოთ, რატომ იყვნენ აქამდე მათთან ერთად. ახლა აშკარაა, რომ ეს ადამიანები საპარლამენტო უმრავლესობის უღირსი წევრებისგან დისტანცირებას ცდილობენ.

ნინია კაკაბაძის თემა „ღვინია გადაიჩეხად“ გადაექცათ და მისი არჩევა, „ოცნებისგან“ გამიჯვნის მიზეზად გამოიყენეს. წინა მოწვევის პარლამენტშიც იყო ასეთი პროცესები. მაშინ „ოცნებას“ თამაზ მეჭიაური გაემიჯნა, რომელიც დღეს თიანეთის მერია.

მგონი დროა, მმართველ პარტიას სახელიც შევუცვალოთ და ის, როგორც „ქართული ოცნება“, ისე აღარ მოვიხსენიოთ. მოვუწოდებ საზოგადოებას, ეს პარტია მოვიხსენიოთ „კარტერულ ოცნებად“. აქ ადამიანები სწორედ კარტერული ინტერესებიდან გამომდინარე არიან გაერთიანებული. ეს პოლიტიკური მკვდრები საღათას ძილიდან მხოლოდ მაშინ გამოიღვიძებენ, როცა მათი ჯიბის ინტერესებს შეეხებიან. დანარჩენ შემთხვევაში კულაკური ეშმაკობით არიან გატრუნული და ჩუმად ქაფავენ სათავისოდ.

ქვეყანა არის ძალიან ცუდ დღეში, ჭინკებად ქცეული ნაციონალების სექტა ჩაჩნების „კარტელურმა ოცნებამ“ ჩაანაცვლა. ასე რომ, გედი იქნება „ოცნებაში“, ყვავ-ყორანი, არწივი, ბახალა თუ ჩიტტრეკია, რა მნიშვნელობა აქვს.

ამათზე როცა ვსაუბრობ, გამახსენდა კოლხეთის მეფე გუბაზი, რომელიც ბიზანტიელებმა ღალატით მოკლეს. ის მეექვსე საუკუნეში მოღვაწეობდა და მას მემატიანეები ძალიან კარგ მებრძოლად და უებრო მხედრად მოიხსენიებენ. სპარსელებთან ბრძოლის წინ, მან თავის ჯარს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ერთხელ დამორჩილებული სიამაყე ვეღარ აღორძინდება და წავედით საომრად“.

„კარტელური ოცნების“ წევრების ცნობიერებაში არც სიამაყე არსებობს, არც ღირსება და არც სამშობლო. სამაგიეროდ მათ ლექსიკონში არის – კეთილები, ყვავ-ყორნები, გოთვერნები. რა უნდა ილაპარაკო, როცა დედაქალაქის მერი შარაგზის ტერმინებით დაიწყებს ლაპარაკს.

– ვიღაცებმა კალაძეს ამ ტერმინის გამოყენება მოუწონეს.

– ვინ მოუწონა, პიარის გამოშტერებულმა გოგოშკებმა? მათ უთხრეს კალაძეს, რომ ძალიან თანამედროვე ტერმინებით საუბრობო. აი, ესაა მეოცნებეთა ლექსიკა და აზროვნების სტილი. შესაბამისად, მათ რაიმე სერიოზულს ვერ მოვთხოვთ.

იმის გარდა, რომ მათი დაშლა ვიწინასწარმეტყველეთ, გასულ წელს ისიც ვთქვით, რომ მალე მათ ყოფილი ხელისუფლებისგან ვეღარ გავარჩევდით. ასეც მოხდა. ისე დაკარგეს სახე, ვერ გაარჩევ, სადაა „ოცნება“ და სად ნაციონალები და მათი განაყოფები.

ჩვენი საზღვრების სიახლოვეს, ლამის არის, მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს, ამ დროს პრემიერი კვირიკაშვილი გამოდის და მორიგ სისულელეს ბუუტურობს. უარეს სისულელეებს ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.

საზოგადოებას ეუბნებიან, რომ საერთაშორისო მაწანწალაზე – მიხეილ სააკაშვილზე ძებნა აქვთ გამოცხადებული. ამ დროს ეს ადამიანი თავისუფლად გადაადგილდება ევროპაში. ეს უუნაროები რატომ არ მიმართავენ საქართველოში ევროკავშირის ელჩს და რატომ არ ითხოვენ მისგან განმარტებას – როგორ შედის ძებნილი სააკაშვილი ევროპელი ჩინოსნების კაბინეტებში და როგორ იძლევა იქედან ახსნა-განმარტებებს.

პიჯაკებშემოცმული ტაკიმასხარები ერთი მხრივ ძირს უთხრიან ეკლესიას, ხოლო მეორე მხრივ რელიგიურ დღესასწაულებზე სამების საკათედრო ტაძარში ჩაიწკაპებიან და დიდრონ სანთლებს იჭერენ ხელში. არადა წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა არის აღდგომა. მათი აღდგომა დგება მაშინ, როცა პრემია-დანამატებს იღებენ. მათი ტაძარი მათი კაბინეტი და ჯიბეებია. საქართველოში არავის არ სჯერა, რომ მათ ან ღმერთი სწამთ და ან სანთელი.

– აბა რატომ უშვებენ ტაძრებში?

– არც პატრიარქი და არც სხვა სასულიერო პირები არავის არ ეუბნებიან, ტაძარში არ მოხვიდეთო, არც ამათ ეტყვიან. მათი პოზიცია ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ეს „კარტელური ოცნება“ როგორ მიდის იქ? იმას ხომ ამჩნევენ, როგორი ზიზღით უყურებს მათ ხალხი.

ამათ რაზე უნდა ელაპარაკო საერთოდ, ჩვენს საზღვრებთან ლამისაა მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს, ესენი კი იმაზე საუბრობენ, რა ფერის ჯიპებით უნდა ჩაანაცვლონ შავი ჯიპები.

შექმნილ ურთულეს ვითარებაში, ამ ჩაჩნებს, დიდი საერთაშორისო გარღვევა ჰგონიათ, ფერადკანიანებთან ამხანაგურ მატჩს თუ ითამაშებენ ფეხბურთში. ფერადკანიანებს ალბათ კალაძე ასწავლის, თუ როგორ უნდა გაიტანო საკუთარ კარში გოლი.

ფეხბურთზე რომ გადაგაქვთ ყურადღება და ამით აპირებთ ფონს გასვლას, „ლივერპულივით“ მაინც მოიქეცით.

– „ლივერპულივით“ როგორ უნდა მოიქცნენ, ის დიდებული გუნდია, ესენი კი, როგორც თქვენ ამბობთ, ჩაჩნები არიან.

– „ლივერპულს“ ამ ჩაჩნებს როგორ შევადარებ, მაგრამ იმათგან ის მაინც უნდა ისწავლონ, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ძალიან მწირი რესურსების მიუხედავად, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. ეს ჩაჩნები კეთილებს, ყვავ-ყორნებს და შავ ჯიპებს დასდევენ.

ძალიან სამწუხაროა, რომ ბიძინა ივანიშვილმა, თავისი ნებითა თუ ვიღაცის თხოვნით, ეს ორღობის შარახვეტიები თავის გარშემო შემოიკრიბა. ისინი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არიან გადანაწილებული და ამას ხალხი იტანს.

– ატანაში რას გულისხმობთ, ხალხი სულ მაგათ გინებაშია.

– კი აგინებენ, კი დასცინიან, მაგრამ მათ გადადგომას არავინ არ ითხოვს. ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობ, არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. ძალიან საწყენია, რომ ქართველი კაცი ყველაფერს ეგუება.

ქართველები გავხდით ფეისბუქ-ლომები, რომლებსაც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მიტინგის ჩატარებაც კი არ უნდა. მტერთან ბრძოლაზე ხომ საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი – დაუანგულ ტანკს რომ დაინახავს, კინწისკვრით გარბის. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ჩეჩნებმა რუსების ორი სატანკო დივიზია დაადუღეს გროზნოში. 2008 წლის აგვისტოში, როგორც კი ყური მოვკარით, რომ როკის გვირაბში დაუანგული რუსული ტანკები შემოვიდა, ერთმანეთს გავასწარით. ეს ყველაფერი ერის გადაგვარების და ერის ავადმყოფობის საოცარი მაგალითია.

ამას თუ ვერ შევნიშნავთ და ამას საკუთარი თავიდან არ ამოვძირკვავთ, უსქესო, უმაქნისი და მომხვეჭელი მთავრობა საერთოდ გადააგვარებს საქართველოს.

– უსქესო და უმაქნისი თუა ეს მთავრობა, ექნება ერის გადაგვარების თავი? ამის გარდა, თავადაც აღიარებენ, რომ სადაცაა ჩამოიშლებიან.

– ჩამოშლით, რა თქმა უნდა, ჩამოიშლებიან. მთელი უბედურება არის ის, რომ ეს ყველაფერი აგებულია ერთი ადამიანის შესაძლებლობებზე. მისი მითითებების გარეშე სახელმწიფო ინსტიტუტები ვერაფერს ვერ აკეთებენ. მეტსაც გეტყვით, არასამთავრობოები, მედია, საზოგადოება, უცხოელი დიპლომატებიც კი ამ კაცზე არიან მიბმული. დღეს ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში ყველაფრის განმსაზღვრელია, პირდაპირ თუ ირიბად.

ეს არის სიმახინჯე, მაგრამ საზოგადოება ამას ეგუება. ხალხსაც ის აინტერესებს, რა თქვა იმ კაცმა. ჩვენ ცნობიერებაში გვიზის ერთი კაცი. ივანიშვილზე არც ცუდის თქმა მინდა, არც კარგის, მაგრამ ის აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ნიჭიერი კაცია.

– რაში გამოიხატება მისი ნიჭიერება?

– მან კარგად დაინახა ქართველი კაცის ბუნება და თავისი მმართველობა ქართველების ბუნებას კარგად მოარგო – ის მეფე არ არის, არც ფაშა, არც პრეზიდენტი, არც ეროვნული გმირია, მაგრამ, ამავე დროს, ქვეყანაში ისაა ყველაფერი. აქ მთავარი უბედურება ისაა, რომ ერი აეწყო ამაზე – ერს სჭირდება ბელადი. ბელადების დონეზე ვართ, რის დასავლური ცივილიზაცია, არადა ამ დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქართული კულტურა და ცნობიერებაც იყო.

ადრე თუ გვიან, ხალხს ყელში ამოუვა ეს უმაქნისები და მათ კაბინეტებიდან გაყრიან, მაგრამ მეორე პრობლემის წინაშე შეიძლება დავდგეთ – ხელისუფლებაში შესაძლოა ნაციებივით პირსისხლიანი ხალხი მოვიდეს. გამოსავალი არის არჩევნებში, სადაც ამომრჩეველი არავის არ უნდა მიეყიდოს. ხმების მყიდველი ძალა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ქვეყანას ცხრა პირ ტყავს გააძრობს.

– მოდით, ისევ „ოცნებაში“ მიმდინარე დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, „ოცნება“ ჩამოიშლება?

– ყველანაირად შეეცდებიან, ეს არ მოხდეს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ თუ ჩამოიშლებიან, მათ ადგილს სხვები დაიკავებენ.

– ვინ დაიკავებს მათ ადგილს?

– თუნდაც „ევროპული საქართველო“. „ოცნება“ თუ ჩამოიშლება, ივანიშვილი ბოკერიას დასვამს თავის გვერდით. ახლაც მშვენივრად თანამშრომლობენ.

– ამ დაპირისპირებამ გააჩინა მოსაზრება, რომ ივანიშვილი „ოცნების“ საქმეებში აღარ ერევა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ივანიშვილი ამ პროცესებიდან დისტანცირებულია. აქ დაპირისპირება დიდი ხანია, რაც მწიფდება და ადრე თუ გვიან მაინც იჩენდა თავს. „ოცნებაზე“ განაწყენებული დეპუტატები ახლა კვირიკაშვილის გარშემო მოიყრიან თავს.

– კვირიკაშვილის გარშემო რატომ მოიყრიან თავს? ისიც განაწყენებულია მმართველ გუნდზე?

– განაწყენებული როგორ არ არის, ის ძალიან კარგად გრძნობს, რომ მისი პრემიერობის ვადა ამოწურულია. ივანიშვილი დიდი ხანია, მის შემცვლელს ეძებს, შესაძლოა, იპოვა კიდეც. კვირიკაშვილის გასაშვებად ხელსაყრელ მომენტს ეძებს. არ უნდა, ამას ხმაური მოჰყვეს.

ეს იცის პრემიერმა და პოზიციების გამაგრებას ცდილობს. მე ადრეც გითხარით, რომ ის პოლიტიკურ ველზე ბიზნესმენების შემოყვანით და მათი დახმარებით აპირებდა თანამდებობის შენარჩუნებას.

ახლა განაწყენებული მეოცნებეები შეგროვდებიან მის გარშემო. პარლამენტში კვირიკაშვილსაც ეყოლება თავისი გუნდი. იქ კიდევ რამდენიმე გუნდია, რომლებიც უკვე ღიად იბრძვიან გავლენების სფეროების გადასანაწილებლად.

პარლამენტის შემდეგ თბილისის საკრებულო – დაპირისპირება უმრავლესობაში

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობაში განხეთქილების პარალელურად, დაპირისპირებაა თბილისის საკრებულოშიც. არაოფიციალური ინფორმაციით, საკრებულოს უმრავლესობაში, პარლამენტში არსებული დაჯგუფებების მსგავსი დაპირისპირებაა.

როგორც საკრებულოს უმრავლესობის კულუარებში ამბობენ, ერთმანეთს თბილისის რამდენიმე მაჟორიტარი და პარტიული სიის წარმომადგენელი უპირისპირდება. „პირველი რადიოს“ ინფორმაციით, უახლოეს დღეებში შესაძლოა დაპირისპირებული მხარეებიდან ერთ-ერთმა განცხადება გააკეთოს, მიზეზი კი „თბილისში შექმნილი ვითარება“ იყოს.

თბილისის საკრებულოში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ოფიციალურ კომენტარს ჯერჯერობით არავინ აკეთებს.

გიორგი ტუღუში: „სააკაშვილის განაჩენზე თვალებს არავინ არ დახუჭავს“

Freedom House-ის ანგარიშს „ევროპულ საქართველოში“ ეხმაურებიან. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი გიორგი ტუღუში აცხადებს, რომ დოკუმენტში მოხვდა ყველა ის პრობლემური საკითხი, რომელიც საქართველოში მწვავედ დგას:

– როდესაც პირდაპირ აკვირდებიან, როგორ ებრძვის ხელისუფლება, მაგალითად, რუსთავი 2-ს და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ტელევიზია წაეღო. უბრალოდ მოხდა ისე, რომ მათგან გაუკონტროლებელმა ინსტიტუციამ ეს პროცესი შეაჩერა. ცხადია, რომ ეს იქონიებდა ძალიან ნეგატიურ გავლენას მთლიანად შეფასებაზე. გარდა ამისა, სხვა მოვლენები, რომლებიც უკავშირდება ისევ და ისევ არაფორმალურ მმართველობას თემები, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოსთან. არამარტო რუსთავი 2-თან მიმართებაში, ასევე, ზოგადად პოლიტიკურად მიკერძოებულ მართლმსაჯულებასთან. ის განაჩენი, რომელიც დააყენეს სააკაშვილის საქმეზე, ცხადია, რომ ამაზე თვალებს არავინ არ დახუჭავს, – განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

ჯონდი ბაღათურია: „ქართული ოცნება“ ნინიას ოცნება ყოფილა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.

– ბატონო ჯონდი, უმრავლესობის შიგნით არსებული დაპირისპირება დღეს მთავარ თემად იქცა. ორ ბანაკად გაიყო „ოცნება“, კვირიკა შვილის და კობახიძის მომხრეებად. რას იტყვით თქვენ?

– სახარებაში ნათქვამია, ხე ნაყოფით შეიცნობაო. „ქართულ ოცნებაზე“ როგორც კი ჩამოვარდება საუბარი, პირველ რიგში გვახსენდება ორი საკმაოდ მძიმე გადაწყვეტილება. ერთი არის ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაცია და პროპაგანდა, მეორე კი – ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის და გავრცელების ლეგალიზაცია, რომელსაც გააფთრებით ვეწინააღმდეგებით, მაგრამ მათ გადაწყვეტილი აქვთ, რომ ამ ყველაფრის ლეგალიზაცია მოახდინონ.

ჰომოსექსუალიზმის და ნარკოტიკების პროპაგანდა სჭირდება ჩვენს ახალგაზრდა თაობას? გადაცემებს უძღვნიან ამ თემებს და გამუდმებით მიდის იმაზე ლაპარაკი, რომ ნარკოტიკების მოხმარება კარგია. ამ ყველაფერს რომ შენივე საკუთარი, ქართული და ნაოცნებარი ტელევიზიები გადმოსცემენ და ამას რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ლობირებენ, რაზე უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ?!

– მიზანმიმართული პროცესია?

– საქართველოს მართავს ანტიმართლმადიდებლური, ანტიქართული რაღაცა დაჯგუფება, რომელიც პირდაპირ ღიად და აშკარად ებრძვის ყოველივე ქართულს! საქართველოში გაბატონებულია აპარტეიდი. სამხრეთ აფრიკაში იყო ანტიზანგური აპარტეიდი, ზანგებს ჩაგრავდნენ და აქ ქართველებს ჩაგრავენ!

– ქართველების ჩაგვრა რაში გამოიხატება? ქართველები იქით ჩაგრავენო, გვესმის შეფასებები.

– 6 ახალგაზრდა ბიჭი, სტუდენტები, რომლებიც აპროტესტებდნენ რუსთავი 2-თან სიძულვილის ენით საუბარს ქრისტეზე და ამის გამო ეს ბიჭები დაკავებულები არიან, ეს სამართლიანობაა?!

„დღეს საქართველოს კოლექტიური ნინია მართავს“

– შესაძლოა, ბელიაშვილის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტშიც ქართველები ცნონ დამნაშავედ.

– დიახ, აგრესიულად მიდის ქართულ არხებზე პროპაგანდა, რომ ქართველები იყვნენ დამნაშავეები ფერადკანიან სტუდენტებთან დაპირისპირებაში. ქართველებს ნურავინ ნუ ასწავლის სტუმარ-მასპინძლობას და კულტურას. მოსე ზანგი იყო, მაგრამ ის ქართველებისთვის ერთ-ერთი დიდი წმინდანია! ჩვენ კანის ფერის მიხედვით ადამიანებს არ ვასხვავებთ.

– საუბარია, რომ ქართველების მხრიდან ძალადობას ჰქონდა ადგილი.

– როდესაც ხედავ, რომ სტადიონზე გამოდის ზანგი, ან ფრანგი და პატარა ბავშვებს არ აძლევს თამაშის საშუალებას და შენ რომ პატარებს იცავ, ეს რასიზმი არ არის, უბრალოდ, კაცი კაცს გაექაჩა. ქართველებში ასეთი რამ ცოტა გაქვთ ნანახი?! ეს რასიზმია?!

– ანუ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე?

– მიზანმიმართული პროცესი მიდის. ყველანაირად ცდილობენ, რომ ქართული და ქართველობა დაიჩაგროს! რომ ქართველს ეშინოდეს უცხოელის! ჩვენი კარი ღიაა სტუმრისთვის, მაგრამ სტუმარი მასპინძელს არ უნდა ავიწროვებდეს! სინგაპურიზაცია, რასაც სააკაშვილი ხმამაღლა ყვიროდა, ეს არის, სხვა არაფერი. დღეს სინგაპურში ადგილობრივი მოსახლეობა 17%-ია. ხელისუფლებაშიც იქ 90% უცხოელები არიან.

ამას მიზანმიმართულად აკეთებს დღეს ქართული ელექტრონული მედიის დიდი ნაწილი და ჩვენივე არჩეული ხელისუფლება, რომელიც ხალხს ქართული ოცნება ეგონა და თურმე ნინიას ოცნება ყოფილა.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– თუ ვინმეს ოცნება ახდა, ქართველი ხალხის ოცნება ნამდვილად არ ახდენილა! ქართველების ოცნება ნამდვილად არ იყო არც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა და არც ნარკოტიკების ლეგალიზაცია! და არც განაგლებული უცხოელების ქართველების კისერზე შემოჯვენა! არც ქრისტეს შეურაცხყოფა! თუ ვინმეს ოცნება ახდა, ნინიას ოცნება ახდა! გახდა ბორდის წევრი!

– ამ პროცესებზე შიგნით მიდის დავა და დუღილი, ამიტომ იხლიჩება „ოცნება“ ორად?

– დღეს საქართველოს მართავს ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური, კარგად ორგანიზებული, აგრესიული ბოროტი ძალა და ამას შესაძლებელია, კოლექტიური ნინია დავარქვათ! ნინია სულ არ არის ხელწამოსაკრავი, ნინია არის კარგად ორგანიზებული, საშიში და ბოროტი ძალა! მე ნინიაში კოლექტიურ ნინიასაც ვგულისხმობ. დღეს კოლექტიურმა ნინიამ გაიმარჯვა „ქართულ ოცნებაში“! ესენი მართავენ ქვეყანას! ბევრს „ქართულ ოცნებაში“ ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგალითად, პრემიერ-მინისტრს, შს მინისტრს, კახა კახიშვილს, გედი ფოფხაძეს, მაგრამ ეს ხალხი არ იღებს გადაწყვეტილებებს!

– აბა ვინ იღებს?

– დღეს გადაწყვეტილებებს იღებს კოლექტიური ნინია! ის ხალხი, ვინც ნინია კაკაბაძე გაიყვანა ბორდში.

– საპრეზიდენტო არჩევნებამდე საბოლოოდ დაქუცმაცდება „ქართული ოცნება“?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაბედულ გადაწყვეტილებებს მიიღებს „ქართული ოცნების“ ჯანსაღი ნაწილი. მათ ახლა აქვთ საშუალება, მიიღონ გაბედული გადაწყვეტილებები და იმოქმედონ, ხვალ გვიან იქნება! ხვალ ნინიები დარჩებიან, აღარ იქნება გიორგი კვირიკაშვილის მაგვარი ხალხი. ესენი გამოდევნიან მათ, დღეს სწორედ ეს პროცესი მიდის! ნინიას არჩევამ სწორედ ეს აჩვენა, რომ ესენი იმარჯვებენ! ვინც კაკაბაძეს დაუჭირა მხარი, ზუსტად ეს შემადგენლობაა მომხრე ნარკოტიკების ლეგალიზაციის და ჰომოსექსუალიზმის დამკვიდრების. სწორედ მათ მოამზადეს ეს კანონპროექტები!

– რით დაამთავრებს „ოცნება“?

– თუ ნინიას ოცნებამ გაიმარჯვა, მაშინ ქართველობა საერთოდ ამოწყდება! აქ ფიზიკურ განადგურებაზე მიდის ლაპარაკი. ნარკოტიკები ამოწყვეტს ახალგაზრდა თაობას! ჩემი სამეგობროს ნახევარი ამოწყვიტა ნარკოტიკებმა 90-იან წლებში. მე ამიტომ ვებრძვი ამას ასე თავგამოდებით და თავგანწირვით. მე ეს სიმწარე ვნახე! ვნახე, რა ტრაგედიები შეაქვს ნარკოტიკებს ოჯახებში! აი, ამის დაკანონება უნდათ, ჩვენი მომავალი თაობის ფიზიკურად განადგურება უნდათ! ქართველობის დემონსტრაციას რომ ახდენ, ამისთვის გიჭერენ! მეტი რა უნდა გააკეთონ?! მეტი რა უნდა ჩააფურთხო ქართველს სულში, რომ ქართველმა ხელი კომბალს დასტაცოს!

– ისევ კომბალი?

– კომბალს პირდაპირი მნიშვნელობით არ ვგულისხმობ. გამოვიდეს და მოითხოვოს კონსტიტუციური გზით ხელისუფლების ცვლილება! უნდა გამოვიდეთ ორგანიზებულად, პრინციპულად, თუ გვინდა, რომ ქართველობამ გაიმარჯვოს! ეროვნული მოძრაობა გვჭირდება ჩვენ ახლა, თუ გვინდა, რომ გავიმარჯვოთ, თუ არა და გაიმარჯვებს ნინია!

დღეს სერიოზული ბრძოლა მიდის უკვე ნინიას ოცნებასა და ქართველი ხალხის ოცნებას შორის! ქართველი საზოგადოება უნდა დაირაზმოს მთლიანად მათ წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ჩვენ გვერდით უნდა იყოს ოსიც, სომეხიც, აზერბაიჯანელიც და აფხაზიც. აი, მაშინ გავიმარჯვებთ!

გია ჟორჟოლიანი: „დღეს არსაიდან გასვლას არ ვაპირებთ“

– დღეს არსაიდან გასვლას არ ვაპირებთ – რა იქნება მომავალში, ამას დრო გვაჩვენებს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი ფრაქციის „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გია ჟორჟოლიანმა განუცხადა.

როგორც ჟორჟოლიანმა განმარტა, „სოციალ-დემოკრატებს“ მთელ რიგ პროგრამულ და პლატფორმულ საკითხებზე აქვს „ქართული ოცნებისაგან“ განსხვავებული პოზიციები, თუმცა სადღეისოდ უმრავლესობიდან გასვლის საჭიროებას ვერ ხედავს.

– ჩვენი საკითხი საკმაოდ გარკვეულია. ვითარება ასეთია: – ჩვენ გვაქვს ჩვენი პლატფორმა, ჩვენი პროგრამა. ეს გამოქვეყნებულია, მათ შორის პარლამენტის ვებ-გვერდზე. ჩვენი პროგრამა მნიშვნელოვან რაღაცებში „ქართული ოცნების“ პლატფორმისაგან განსხვავებულია. ამას ამდენი ხნის განმავლობაში ხელი არ შეუშლია ვიყოთ უმრავლესობაში. თუკი სხვა პროცესები წავიდა... ჩვენ უფრო დავაკონკრეტებთ და მკაფიოს გავხდით ჩვენს პლატფორმას, რომელსაც მაისის ბოლომდე გამოვაქვეყნებთ. მას გავუგზავნით მთავრობას, უმრავლესობას და იქნება საჯარო. გვინდა ამაზე დისკუსია დაიწყოს. ამ დისკუსიაში ჩვენ მთავარ პარტნიორად პირველ რიგში „ქართულ ოცნებას“ განვიხილავთ.

სხვა პარტიებთან ურთიერთობას ჩვენ პრაქტიკულად გამოვრიცხავთ. ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკა, ვიდრე პერსონალური ურთიერთობები. რა თქმა უნდა, თუ ეს რაღაც წინააღმდეგობებს გამოიწვევს და მოხდება ისე, რომ შეუთანხმებლობა არსებობს, ეს დაკავშირებული იქნება არა უმრავლესობაში შესვლა-გასვლასთან, არამედ იმასთან, თუ როგორ მიიღებ მონაწილეობას არჩევნებში. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად მივიღოთ, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გია ჟორჟოლიანმა.

ფიგარო: „საფრანგეთი სირიაზე დარტყმას თავისი ტერიტორიიდან განახორციელებს“

– სირიაზე დარტყმის განხორციელების შემთხვევაში, საფრანგეთი ამას არა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული ფრანგული ბაზებიდან, არამედ საკუთარი ტერიტორიიდან გააკეთებს, – ამის შესახებ გამოცემა ფიგარო წერს.

გამოცემის ინფორმაციით, პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს უკვე გადაეცა ოპერაციის განხორციელების რამდენიმე ვარიანტი.

– სპეციალისტები თვლიან, რომ თუ დარტყმის განხორციელება გადაწყდება, საფრანგეთი ამას, სავარაუდოდ, არა იორდანიასა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში არსებული ფრანგული ბაზებიდან, არამედ ზემო მარნას დეპარტამენტში მდებარე სენ-დიზიეს ბაზიდან გააკეთებს, – წერს გამოცემა.

ასეთი გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ იორდანიასა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების გამწვავება არ სურთ.

დავით მესხიშვილი: „პარკირების სისტემა მთლიანად გადაიბარა კომპანიამ, რომელსაც არანაირი გამოცდილება და ხედვა არ გააჩნია“

– იგივე მახინჯი მოდელი, რის გამოც უარი ვუთხარით „სითი პარკს“ და გავუშვით, ახლა გადაიბარა თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ, ანუ პრობლემა მხოლოდ სახელწოდებაში იყო?! იდეაში ჩვენ არ მოგვწონდა პარკირების სისტემა, რომლის ალტერნატივაც არ ჩანს, – ასე აფასებს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილი თბილისის მერის კახა კალაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ დღეიდან პარკირების სისტემას თბილისის სატრანსპორტო სამსახური უხელმძღვანელებს.

მისივე თქმით, აღნიშნული სიახლით არაფერი იცვლება, რადგან შესაბამისი სამსახურის მხრიდან არ გავრცელებულა ინფორმაცია, რას აპირებს ან რა სიახლეს ნერგავს.

– უნდა თქმულიყო სიახლე, როგორ უყურებს შესაბამისი სამსახური მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში პარკირების პრობლემის გადაჭრას. კომპანიას უნდა ეთქვა, რას აპირებს, იქნება თუ არა პარკირების გეოგრაფიული დაყოფა ან ზონირება, ან საერთოდ როგორი სისტემა იქნება. რაც შეეხება მიწისქვეშა პარკინგის საკითხს, აქაც უნდა გააკეთონ განმარტება, სად მოეწყობა, რატომ ჯობია მიწისქვეშა მიწისზედას და ა.შ. ზოგადად საერთაშორისო გამოცდილებით უმეტეს შემთხვევაში პარიკრებას ხელმძღვანელობს კერძო სექტორი, ბიზნესი. ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა გამოცხადებულიყო ტენდერი, რათა შერჩეულიყო საერთაშორისო გამოცდილების მქონე კომპანია, რომელსაც ეს საქმე ადრეც უკეთებია და თან წარმატებით, – განმარტავს მესხიშვილი.

ზაზა ბიბილაშვილი: „ქართული ოცნების“ დრო დამთავრდა“

– ჩვენც კი გაგვიკვირდა ის სიმწვავე და ის დეტალიზაცია, რაც ამ ანგარიშს ახლდა, – ასე გამოეხმაურა ნაციონალური მოძრაობის წევრი ზაზა ბიბილაშვილი რეედომ ფოუსე-ის ანგარიშს. მისი შეფასებით, გავლენიანი ორგანიზაციის ეს მწვავე დასკვნა არის ერთგვარი დიაგნოზი „ქართული ოცნებისთვის.“

– აღსანიშნავია ნაწილი, რომელიც ასახავს პოლიტიკურ დევნას, პოლიტიკურ ვენდეტას. კონკრეტულად მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ დევნას. აღსანიშნავია ასევე ის ნაწილი, რომელიც საუბრობს, რომ ქვეყანას მართავს ერთი ოლიგარქი თავისი კომპანიის თანამშრომლების მეშვეობით, რომ ჩვენი მინისტრთა კაბინეტი და მთავრობა შედგენილია მისი კომპანიების თანამშრომლებისგან. საუბარია ისეთ დეტალებზე, როგორიც არის „პანორამა თბილისი“ და ეს არ ემსახურება არაფერ სხვას გარდა იმისა, რომ დაგვანახოს, რომ ამ ადამიანს მხოლოდ საკუთარი მეგალომანიაკური განდიდების ვნება და სხვა არაფერი. შესაბამისად ეს ანგარიში არის ერთგვარი დიაგნოზი „ქართულ ოცნებაზე“ და ინდიკაცია იმისა, რომ „ქართული ოცნების“ დრო დამთავრდა, – განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა.

შოთა მალაშხია: „მალე კრემლის ბოგინი საქართველოშიც შეწყდება“

მარიამ მჭედლიშვილი

„პარლამენტის წევრები ერთმანეთში გავლენებისა და ფინანსების გამო კინკლაობენ“

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

– თავიდანვე აცხადებდით, რომ დღევანდელი პარლამენტის მთელი შემადგენლობა არ ასახავს ხალხის განწყობას. რისი თქმა შეიძლება პარლამენტში განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებზე?

– ესეც ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ სახელმწიფოზე და ხალხზე არ ზრუნავს. ეს პარლამენტი არ გამოხატავს საზოგადოების ნებას და განწყობებს. დაპირისპირება საპარლამენტო უმრავლესობაში არ არის დაკავშირებული სახელმწიფოებრივ საკითხებთან და ღირებულებებთან. ეს დეპუტაცია ამასთან მწყრალადაა. პარლამენტის წევრები ერთმანეთში გავლენებისა და ფინანსების გამო კინკლაობენ.

ექვსი წლის განმავლობაში ამ ხალხის განსახილველი თემებია ხელფასები, პრემია-დანამატები, სამსახურებრივი მანქანების ფერი და ტენდერები. ამ პირებმა გამოავლინეს დიდი მადა ამ მიმართულებით. მათ უნდათ გავლენების შენარჩუნება ან გაძლიერება. კამათი ამიტომ მოსდით. ამ დეპუტატებს სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გააჩნიათ. მათი ხელშეწყობით მოიშალა სახელმწიფო სტრუქტურები.

– სახელმწიფო სტრუქტურები აგრძელებენ საქმიანობას.

– ამ ადამიანების საქმე საკუთარი კეთილდღეობა და ბიძინა ივანიშვილის მომსახურებაა. სარკაზმით არ ვამბობ, ეს სინამდვილეა – მთელი უწყებები მიმართულია იმაზე, რომ უზრუნველყონ რომელიმე ხის ამოძირკვა და სხვა ადგილზე გადატანა. სტრუქტურების მოშლის შედეგია ის, რომ ჩვეულებრივი მოქალაქეები ვარდებიან პოლიციის განყოფილებებში და იმუქრებიან, 14 წლის ბავშვები კი ერთმანეთს ხოცავენ.

– ამ დღეებში უმრავლესობის ერთი ჯგუფი მეორისგან იცავდა პრემიერისა და მმართველი პარტიის თავმჯდომარის, კვირიკა შვილის, პოზიციებს. პრემიერის მიმართვა რუსეთის ხელისუფლებისადმი ასევე გახდა პარლამენტში უთანხმოების მიზეზი..

– ყველა საკითხი გამოიყენება გავლენების გადანაწილებისთვის და ყოფითი პრობლემების გადასაჭრელად. ამ ხალხს ერთმანეთთან მენტალური დაპირისპირება არ აქვს. არავინ დაიჯეროს, რომ „ქართულ ოცნებაში“ რომელიმე ჯგუფი ანტირუსული და სახელმწიფოზე მზრუნველია. ყველა დაჯგუფების პატრონი ივანიშვილია. ეს კაცი „გაზპრომის“ მეწილეა. ის ასრულებს პუტინის დავალებებს. საქართველო მოწყვეტილია ცივილიზებულ მსოფლიოს მაშინ, როცა რუსეთის წინააღმდეგ ყველა ერთად დადგა.

– რუსეთის საელჩო არ გვაქვს, მაგრამ ერთი რუსი დიპლომატი მაინც გავაძევეთ. ხელისუფლება თვლის, რომ მსოფლიოსგან მოწყვეტილები არა ვართ.

– ეს არასერიოზულად გამოიყურება საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული პრორუსული კურსის ფონზე. ესტონეთის პრეზიდენტი ჩვენს ინტერესებს ჩვენზე კარგად იცავს. მან მოუწოდა ამერიკის კონგრესს, დაუჭირონ მხარი რუსეთისაგან დაზარალებულ საქართველოს.

– ამგვარი მოწოდებით კონგრესს საქართველოს პრეზიდენტმაც მიმართა.

– ესტონეთის ლიდერი ჩვენზე ძლიერად იცავს ოკუპირებული საქართველოს ინტერესებს. გაეროში აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს საქართველოს ოკუპაციაზე. ამ ფონზე ჩვენი ხელისუფლების ერთი-ორი რეპლიკა და სვლა სასაცილოდ გამოიყურება.

ოთხოზორია ორი წლის წინ მოკლეს. რატომ არ დადგა ეს საკითხი საერთაშორისო სასამართლოებში? არ უნდა გაგვეტარებინა ზომები დამნაშავეების მიმართ? საოკუპაციო ხაზიდან ჩვენი მოქალაქეების გატაცება ორნახევარჯერაა გაზრდილი. ეკონომიკა სულს ღაფავს. სიღარიბე გაიზარდა. დეპუტატები ამაზე არ ხარჯავენ ემოციებს. მათი გაკაპასება პირად საკითხებს ეხება. არადა, გეოპოლიტიკური ფონი შეცვლილია. გეოპოლიტიკური ცვლილებები საქართველოსთვის გარდამტეხი იქნება. რუსეთი დამარცხებულია. ის დასუსტდა სირიაში.

– სირიაში ჯერ ვერ დასუსტდა.

– ესეც მწიფდება. საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე სთხოვენ პასუხს რუსეთს სირიაში მომხდარი დანაშაულების გამო. უკრაინაში მოსკოვს ხელ-ფეხი შეეკრა. გაზპრომის მეწილეებს ავი დღეები უდგათ.

– ივანიშვილს თუ გულისხმობთ, იგი მოამავლის გეგმებს აწყობს. მან ინფრასტრუქტურის მინისტრად საკუთარი კადრი დანიშნა.

– მას, როგორც ჩანს, გადარჩენა უნდა და ამ გადაწყვეტილებებს ამიტომ იღებს. ივანიშვილი ან პოლიტიკურ სამარეში უნდა ჩაჰყვეს პუტინს, ან ხავსს მოეჭიდოს. არავინ იცის, რა იარაღს გამოიყენებს რუსეთი თავისი ყოფილი თუ ახლანდელი ქვეშევრდომების წინააღმდეგ – პოლონიუმს, „ნოვიჩოკს“ თუ სხვას.

– საქართველოში რუსეთის აგენტურის საქმიანობა როგორი იქნება?

– რუსეთის აგენტებს მძიმედ აქვთ საქმე. პატრონებს პრობლემები შეექმნათ. ეს მოქმედებს აგენტების დაფინანსებაზეც. ისეთი კამიკაძე არავინაა, რომ პუტინს თავი შესწიროს, თან მაშინ, როცა რუსეთი დამარცხებულია. ადრეც მითქვამს, რომ მომავალი იმ პოლიტიკური ძალების ხელშია, რომლებიც ეროვნულ და დემოკრატიულ პოზიციებზე დგანან და რომლებმაც იციან, როგორ უშველონ ქვეყანას.

– „ქართული ოცნება“ 2020 წლისთვის დასუსტდება?

– ერთმნიშვნელოვნად. ეს ძალა, ფაქტობრივად, არც არსებობს. არის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი. მისი ხელქვეითები ფულს და გავლენებს ვერ იყოფენ. მათ საზოგადოებაში მხარდამჭერები არ ჰყავთ. ისინი ემსახურებიან რუსეთს. დოკუმენტური ფილმების სერიაში, რომელიც გადავიღე, დაწვრილებითაა აღწერილი, როგორ ანგრევდა ერთმორწმუნე მეზობელი საქართველოს სახელმწიფოებრიობას 1800 წლიდან მოყოლებული.

დღეს იგივე გრძელდება. მალე გეოპოლიტიკური გარდატეხის გავლენით კრემლის ბოგინი საქართველოშიც შეწყდება.

როგორ მოვიცილოთ „ნეგატიური სტატუსი“ და აღარ ვიყოთ „კრედიტ-ინფოს“ ბაზაში

როგორ მოვიცილოთ „ნეგატიური სტატუსი“ და ამოვეშალოთ „კრედიტ-ინფოს“ ბაზიდან.

ფიზიკურ პირებს, რომლებსაც ერთხელ მაინც უსარგებლიათ საბანკო, მიკრო საფინანსოს ან ონლაინ-სესხების გამცემი ორგანიზაციის პროდუქტით, საკრედიტო ისტორია აქვთ.

ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ დაფარეთ ესა თუ ის ვალდებულება, ხომ არ გადააცილეთ გადახდის გრაფიკს, ან პირიქით, წინმსწრებით დაფარეთ და ა.შ., ეს ყველაფერი „კრედიტ-ინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში ინახება.

არსებობს ორი სახის კატეგორიის ისტორიები – პოზიტიური და ნეგატიური. ბუნებრივია, პოზიტიური გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელმა ისარგებლა ამა თუ იმ საბანკო პროდუქტით და წარმატებით დაფარა. ხოლო თუ ადამიანი გადახდებს აგვიანებდა, ან ახლაც მიმდინარე დავალიანება ერიცხება, რომელსაც არ იხდის, ავტომატურად ხვდება ნეგატიურ ბაზაში. შესაბამისად, ყოველი მომდევნო შემთხვევის დროს, როცა მას ისევ დასჭირდება კომერციული ბანკიდან ფულის სესხება ან სწრაფი სესხის აღება რომელიმე კომპანიიდან, მისი საკრედიტო ისტორია უარყოფითად იმოქმედებს და დიდი ალბათობით, სესხს ვერ მიიღებს.

„კრედიტ-ინფოს“ სტატისტიკური მონაცემებით, მათ ბაზაში საკრედიტო ჩანაწერების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ამ ეტაპისთვის კი ბაზაში სულ 24.687.694 ჩანაწერია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4 მილიონით არის გაზრდილი. დღეის მდგომარეობით, სულ აქტიური 5.80.113 სესხია.

ამასთან, ამ ეტაპზე „კრედიტ-ინფოს ბაზაში ჩანაწერი სულ 2.537.774 ფიზიკურ პირსა და 94.193 იურიდიულ პირზე არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ტიპის საკრედიტო ვალდებულება სწორედ ამდენ ადამიანს და კომპანიას გააჩნია. ბოლო აღწერით საქართველოში სულ 3.718.200 ადამიანი ცხოვრობს, შესაბამისად, გამოდის, რომ სესხით მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 68,2% სარგებლობს.

უახლესი მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 6,3% გადახდისუუნაროა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს 6% და არამარტო, „ნეგატიური სტატუსის“ მატარებელია ან როდესმე ატარებდა ამ სტატუსს.

თუმცა საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როცა ფიზიკური პირი ვალდებულებას გაისტუმრებს. ხშირად ჩნდება კითხვა, ადამიანები როგორ უნდა ამოვიდნენ უარყოფითი ბაზიდან და მომავალში დაუბრკოლებლად როგორ ისარგებლონ საბანკო პროდუქტით.

„ბიზნესპრესინუსმა“ აღნიშნული კითხვით „კრედიტ-ინფო საქართველოში“-ს მიმართა, სადაც განგვიმარტეს, რომ ამა თუ იმ პიროვნებას „ნეგატიური სტატუსი“ სესხის დაფარვისთანავე უუქმდება, თუმცა რჩება სტატუსი – „იყო ნეგატიური“, რაც ბაზიდან მხოლოდ 5 წლის შემდეგ ქრება.

– თუ კლიენტს აქვს მიმდინარე ვადაგადაცილებული დავალიანება, რომლის გადახდა დააგვიანა 30 დღეზე მეტით, მაშინ მას ენიჭება ნეგატიური სტატუსი „არის ნეგატიური“ და სანამ პირი არ გადაიხდის ვადაგადაცილებულ დავალიანებას, მანამდე ექნება აღნიშნული სტატუსი. თუ პირმა გადაიხადა ვადაგადაცილებული დავალიანება, გადახდისთანავე „არის ნეგატიური“ სტატუსის შეცვლა ხდება ახალი „იყო ნეგატიური“ სტატუსით, რომელიც მიუთითებს, რომ კლიენტს ამჟამად მიმდინარე ვადაგადაცილებული დავალიანება არ აქვს, თუმცა წარსულში ის ნეგატიური სტატუსის მატარებელი იყო. სტატუსი „იყო ნეგატიური“ მუდმივად რჩება სესხზე, სანამ აღნიშნული სესხი ჩვენს ბაზაში იარსებებს. სესხის დაფარვიდან 5 წლის შემდეგ, „იყო ნეგატიური“ სტატუსის მატარებელი სესხი ფიზიკურად იშლება ჩვენს ბაზიდან, – განგვიმარტეს „კრედიტინფო საქართველოში“.

არის კიდევ ერთი აქტუალური საკითხი – ადამიანები, რომლებიც „ნეგატიურ სტატუსს“ ატარებენ, აცხადებენ, რომ ამის შესახებ „კრედიტინფო საქართველოში“-დან ინფორმაცია არ მისვლიათ. როგორც „კრედიტინფოში“ აღნიშნავენ, კლიენტებს თავად შეუძლიათ შეამოწმონ, ხომ არ ატარებენ „ნეგატიურ სტატუსს“.

– ნეგატიური სტატუსი ფიზიკურ პირს ენიჭება მაშინ, თუ ის 30 დღეზე მეტს გადააცილებს სესხის გადახდის ვადას. აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ კლიენტებს ინფორმაციას არ ეგზავნებათ სს კრედიტინფო საქართველოდან, თუმცაღა საშუალება აქვთ გაიგონ 2 გზით: ან მოვიდნენ ოფისში და ჩვენ მივანდვით მათ თავისი საკრედიტო ვალდებულებების შესახებ სრულ ინფორმაციას, მათ შორის ნეგატიური სტატუსის მინიჭების თარიღს, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა, დაფარული და მიმდინარე ვალდებულებების სიას და ა.შ. ანდა არის მეორე გზა – შეიძინონ მომსახურება „ჩემი კრედიტ-ინფო“, რის საშუალებითაც, ნებისმიერ დროს დისტანციურად შეეძლებათ, დეტალურად იხილონ თავიანთი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ნეგატიურ სტატუსზე, – აცხადებენ „კრედიტინფო საქართველოში“.

საკრედიტო ისტორიის შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია ორგანიზაცია „კრედიტ-ინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში (www.creditinfo.com). მომხმარებლებს საშუალება აქვთ, პირადობის მოწმობის საფუძველზე საკრედიტო ისტორიაზე მუდმივი წვდომა ჰქონდეს.

„კრედიტ-ინფო საქართველოს“ ინფორმაციით, მომხმარებელს წელიწადში ერთხელ, ოფისში მისვლისას საკუთარი საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემების გამოთხოვის უფლება უფასოდ აქვს. რაც შეეხება ფასიან სერვისს, ამისთვის უნდა შეიძინონ მომსახურება „ჩემი კრედიტ-ინფო“, რომელიც ფასიანია და მთელი წლის განმავლობაში სერვისით შეუზღუდავად ისარგებლებენ.

აზიური ფაროსანას გამო საქართველოში რუსეთის მცენარეთა დაცვის სპეციალისტები ჩამოფრინდნენ

საქართველოში „როს სელხოზ ნადზორ“-ის წარმომადგენლები ჩამოფრინდნენ.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს ფეისბუქის გვერდზეა ნათქვამი, რუსეთის მცენარეთა დაცვის სპეციალისტები საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, აზიური ფაროსანას გავრცელებასთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას გაეცნობიან.



– მავნებელთან ბრძოლის პროცესში ქართველი სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ ყველა იმ ქვეყნის სპეციალისტთან, მათ შორის რუსეთის ფედერაციიდან, სადაც აზიური ფაროსანა გამოწვევაა. არსებული გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა მავნებლის პოპულაციის და მის მიერ აგრარული დარგისთვის მიყენებული ზიანის მაქსიმალურად შემცირებაში დაგვეხმარება, – განმარტავენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ეფექტიანი გეგმის შემუშავების მიზნით, საქართველოში მოწვეული იყო ყველა ის წამყვანი ენტომოლოგი და სპეციალისტი კანადიდან, აშშ-დან, ესპანეთიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან, თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან, ვისაც მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნია აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის კუთხით. გაიმართა ფორუმი და არაერთი დისკუსია.

ახლო მომავალში არასაბანკო სექტორი ფიზიკურ პირებზე სესხებს შემოსავლების დაუდასტურებლად ვერ გასცემს

საბანკო და არასაბანკო სექტორი ვალდებული იქნება მხოლოდ იმ ოდენობის სესხი გასცეს, რომლის მომსახურების შესაძლებლობაც მსესხებელს აქვს. საქართველოს ეროვნული ბანკი უკვე მუშაობს შესაბამის დოკუმენტზე – პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოზე, რომლითაც სესხის მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალური ლიმიტები უნდა განისაზღვროს. სებ-ის განმარტებით, დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობა ფიზიკური პირების ნაწილში საკრედიტო დავალიანების სწრაფმა ზრდამ განაპირობა, ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტის სამუშაო ვერსია უკვე მოამზადა, მისი საბოლოო ვარიანტის ინიცირება კი კერძო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ იგეგმება. რეგულაცია შეეხება ყველა იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, ვისაც 20-ზე მეტი სესხი ექნება გაცემული.

საბანკო და არასაბანკო სექტორისთვის მსგავსი რეგულაციის შემოღებას დადებითად აფასებს საბანკო პროდუქტების ექსპერტი დავით კიკვიძე.

– კარგია თუ ეროვნული ბანკი შემოიღებს რეგულაციას, რომელიც აუკრძალავს ბანკებსაც და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსაც თვითონ გადაწყვიტონ, ვის რამდენი სესხი დაუმტკიცონ. სესხების მოცულობა პირდაპირ უნდა იყოს მიბმული ადამიანების შემოსავალზე, – აღნიშნა დავით კიკვიძემ „შპუტნიკ-საქართველოსთან“ საუბრისას.

მისი თქმით, კომერციულ ბანკებს ადრეც ჰქონდათ და ახლაც აქვთ განსაზღვრული რაღაც მინიმალური კოეფიციენტები, რომლის მიხედვითაც ამტკიცებენ სესხებს, ეს დამოკიდებულია მსესხებლის ოფიციალურად დადასტურებულ შემოსავალზე, თუმცა ეს ბანკების შიდა პოლიტიკის ნებაყოფლობითი დოკუმენტია და არა საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული რეგულაცია.

– ამ რეგულაციის შემოღებით, ჯერ ერთი, ავირიდებთ ფიზიკური პირების ჭარბვალიანობას, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები უბრალოდ დაუფიქრებლად ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სესხი აიღონ და მისი მომსახურება მეორე ხარისხოვნად მიაჩნიათ და მეორე – იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეებს ექნებათ იმდენი ვალდებულება, რამდენის მომსახურებასაც შეძლებენ, შეამცირებს ვადაგადაცილებული სესხების მოცულობას და ესეც მნიშვნელოვანია, – აღნიშნა ექსპერტმა.

ეკონომისტ ვეფხია გიორგაძისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე შემოაქვს ეროვნულ ბანკს ეს რეგულაცია, როცა 2018 წლის მარტის მდგომარეობით ვადაგადასული სესხების ოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 55 მლნ ლარით არის შემცირებული.

– ეროვნული ბანკის მიერ ამ ახალი რეგულაციის შემოღება უფრო საბანკო ოლიგოპოლიის დაკვეთის შესრულებას ჰგავს, ვიდრე საჭიროებას, რადგან ეს რეგულაცია პირველ რიგში კომერციულ ბანკებს აწყობთ, – აღნიშნა ვეფხია გიორგაძემ „შპუტნიკ–საქართველოსთან“ საუბრისას.

მისი თქმით, თუ ახლა არარეგულირებადი არასაბანკო სექტორი სესხებს შემოსავლების ყოველგვარი დადასტურების გარეშე გასცემს, რეგულაციების შემოღების შემდეგ ვალდებული იქნება, მსესხებლისგან სათანადო დოკუმენტაცია მოითხოვოს, რასაც კომერციული ბანკი ითხოვს. მაშინ მისგან სესხება ფიზიკური პირისთვის არამომგებიანი გახდება, თუ, რა თქმა უნდა, საპროცენტო განაკვეთი არ იქნება ბანკთან შედარებით უფრო დაბალი. ასევე, კომერციულ ბანკებს აღელვებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მზარდი ბაზარი, რომელმაც წინა წელს 6% შეადგინა. რადგან ისინი მეტად მოქნილები არიან.

ეკონომისტის თქმით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად არასაბანკო სექტორს ის ფიზიკური პირები მიმართავენ, რომლებსაც შემოსავლების დადასტურება უჭირთ.

რაც შეეხება პრობლემური სესხების ოდენობის კლებას, ვეფხია გიორგაძის თქმით, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ მოსახლეობა უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება აღებულ ვალდებულებებს.

2018 წლის მარტის მდგომარეობით კომერციული ბანკების მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემულმა კრედიტმა ჯამში 21 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 3 მილიარდი ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

„სითი პარკთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია“

კომპანია „სითი პარკთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია, რადგან კომპანია ხელშეკრულების გათვალისწინებულ პირობებს არღვევდა, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, ისრაელში ვიზიტისას ადგილობრივმა საინფორმაციო სააგენტო ჭალლა-მ თბილისის მერ კახა კალაძესთან ინტერვიუ ჩაწერა. სხვა საკითხებთან ერთად, სააგენტოს ჟურნალისტი თბილისში არსებული პარკირების პრობლემითა და კომპანია „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების გაწყვეტის თემით დაინტერესდა.

– ბოლო წლებში თბილისში მნიშვნელოვნად გაიზარდა ავტომობილების რაოდენობა და, შესაბამისად, პარკირების პრობლემაც თვალსაჩინოა. კომპანია „სითი პარკთან“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია, რადგან კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არღვევდა. თავად კომპანიის ხელმძღვანელებიც საუბრობენ, რამდენად პოპულარული ნაბიჯია „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაწყვეტა, რითაც ფაქტობრივად ადასტურებენ, რომ მოსახლეობაში მათი საქმიანობის მიმართ დიდი უკმაყოფილება იყო. თუმცა, ხელშეკრულების გაწყვეტას არანაირი კავშირი არ აქვს საკითხის პოპულარობასთან, ჩვენ საკითხს ვუდგებით სამართლებრივი კუთხით.

არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენი კარი ღიაა და მივესალმებით კეთილსინდისიერ ინვესტორებს. ამასთან, არსებობს კანონი და ყველა ინვესტორი ვალდებულია, მას დაექვემდებაროს და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, – განაცხადა კახა კალაძემ ჟურნალისტთან საუბრისას.

თბილისის მერია ერთ ჰიბრიდულ ავტომობილს 49,6 ათას ლარად ყიდულობს

თბილისის მერია 30 ახალ, ჰიბრიდულ ავტომობილს სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოდან“ იყიდის.

„ჰიუნდაი ავტო საქართველოსთან“ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება 1 488 450 ლარზე გაფორმდება. კომპანიამ თბილისის მერიას ავტომობილები ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარულ დღეში უნდა მიაწოდოს.

ამის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ირკვევა.

ამ ეტაპზე ხელშეკრულების მომზადება მიმდინარეობს. შესყიდვის ობიექტის გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წელია ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი).

ცნობისთვის, ტენდერის პირობების თანახმად, ავტომობილების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1.744.680 ლარი იყო. ტენდერში ორი კომპანია შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ და „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ მონაწილეობდნენ. „ტოიოტა ცენტრი თეგეტას“ შეთავაზება 1.720.140 ლარი იყო, ხოლო „ჰიუნდაი ავტო საქართველოსი“ – 1.578.270 ლარი. თუმცა, საბოლოოდ, შეთანხმება „ჰიუნდაი ავტო საქართველოსთან“ 1.488.450 ლარზე შედგა.

დედაქალაქის მერიის მოთხოვნის თანახმად, შემოთავაზებული მსუბუქი ავტომობილი უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი), თეთრი ფერის, განბაჟებული და 2018 წელს გამოშვებული.

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ავტომანქანა უნდა იყოს არანაკლებ 120 ცხენის ძალის მქონე, ძრავას მოცულობა არანაკლებ 1.6, საწვავის ავზი არანაკლებ 40 ლიტრიანი, გარბენი არაუმეტეს 50 კმ უნდა იყოს.

გარდა ამისა, ავტომობილს უნდა ჰქონდეს 6 უსაფრთხოების ბალიში, კონდიციონერი, აუდიოსისტემა, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა, მძღოლის სავარძელი სიმაღლეში რეგულირებით, აღჭურვილი იყოს ბორტკომპიუტერით, ალუმინის დისკებითა და მარცხენა საჭით.

ცნობისთვის, თბილისის მერია 30 ცალი მსუბუქი ჰიბრიდული ავტომობილით ზედამხედველობის სამსახურს აღჭურავს.

სპეციალისტები ლარის გამყარებას საგარეო ფაქტორებს უკავშირებენ, რუბლის გაუფასურებაში საფრთხეს ვერ ხედავენ

– უახლოეს პერიოდში ლარი დასტაბილურდება, თუმცა მაისის ბოლოს გარკვეული გაუფასურების პროცესი არის მოსალოდნელი, – ამის შესახებ ეკონომისტი ნიკა შენგელია რადიო „კომერსანტის“ ეთერში საუბრობს. გადაცემაში „კომერსანტის თემა“ სალომე სოსელიასთან ერთად ექსპერტი ამბობს, რომ ლართან მიმართებაში რყევები წლის ბოლოსაც იქნება მოსალოდნელი. მისი თქმით, ამ დროისთვის ლარის გამყარება საგარეო ფაქტორებმა გამოიწვია. ერთ-ერთ მიზეზად შენგელია ჩინეთ–ამერიკის „სავაჭრო ომს“ ასახელებს.

– მაისის შემდეგ ჩვენ ველოდებით ლარის გაუფასურების ტენდენციას. ამის მიზეზი ისევ საგარეო ფაქტორები იქნება. 2017 წლის იანვრიდან დღემდე დოლარი დაეშვა დაღმავალ ტრენდში და სუფთა ტექნიკური ანალიზიდან გამომდინარე დადგა დრო მისი კორექციის. ეს იქნება დაახლოებით სამთვიანი კორექცია, რომელიც გამოიწვევს დოლარის ცოტათი გამყარებას. დოლარის გამყარება გამოიწვევს მსოფლიოში სხვა დანარჩენი ვალუტების გაუფასურებას. დოლარის ლართან მიმართება 2,50 ან 2,55-იან შუალედში იქნება, ჩვენ ამას ვერ ავცდებით, მაგრამ, საგანგაშოს ვერაფერ ვხედავ.

რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, ველოდებით, რომ ნიშნული 2,60 ან 2,65 მიაღწევს. ეს გამოწვეულია არა მარტო მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებით, არამედ ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში, – განაცხადა ნიკა შენგელიამ.

ანალიტიკოსმა ყურადღება ამერიკული სანქციების გამო მოსკოვის ბირჟის ჩამოშლასა და რუბლის გაუფასურებაზეც გაამახვილა. მისი თქმით, ეს პროცესი საქართველოზე დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენს, რადგან არსებული ტენდენცია გრძელვადიან პერიოდში არ შენარჩუნდება.

აშშ რუსეთის სახელმწიფო ობლიგაციების და ბანკების წინააღმდეგ ახალ სანქციებს ამზადებს

რუსეთის ფინანსთა ყოფილი მინისტრი, და ამჟამად სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ანდრეი კუდრინი ურჩევს ქვეყნის ხელისუფლებას, შეიკავოს თავი აშშ-ის მიმართ საპასუხო სანქციების შემოღებისგან – იუწყება სააგენტო იტარ-ტასი.

– მიმაჩნია, რომ სანქციები ამერიკული ბიზნესის წინააღმდეგ არაა მიზანშეწონილი, რადგანაც ამერიკულ კომპანიებს შემოაქვთ რუსეთში ახალი ტექნოლოგიები და ინვესტიციები. კონტრსანქციები უფრო მეტად დააზარალებს რუსეთს და იქნება კონტრპროდუქტიული, – თვლის კუდრინი.

მან ასევე გაიხსენა პუტინის გამოსვლა სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე.

– პრეზიდენტმა მაშინ განაცხადა, რომ ელის რუსეთში ყველა უცხოურ კომპანიას. აქედან გამომდინარე, საპასუხო სანქციების შემოღება იქნება საკუთარ დაპირებებზე უარის თქმა, – თვლის ექსმინისტრი.

6 აპრილს აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ შემოიღო ახალი სანქციების რუსული კომპანიების, ასევე რამდენიმე ათეული მაღალჩინოსნის, სახელმწიფო მენეჯერის და ბიზნესმენის წინააღმდეგ.

ამის შედეგად 2 დღეში ჩამოიშალა რუსეთის საფონდო ბაზარი, ხოლო რუბლი გაუფასურდა დოლარის და ევროს მიმართ.

არსებული ინფორმაციით, ამჟამად მიღებული სანქციების პაკეტი არაა ბოლო – აშშ-ში განიხილავენ სანქციების გამკაცრების შესაძლებლობასაც და ამჯერად მიზეზი იქნება სერგეი სკრიპალის მოწამვლა ლონდონში.

აშშ-ის კონგრესი ამზადებს სანქციებს რუსული სახელმწიფო ობლიგაციების და ბანკების წინააღმდეგ.

კანონპროექტი გულისხმობს ამერიკული კერძო თუ იურიდიული პირებისთვის რუსულ სახელმწიფო ვალთან ნებისმიერი ოპერაციების სრულ აკრძალვას. სანქციების ქვეშ მოხვდებიან 14 დღეზე მეტი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც უშვებს რუსეთის ცენტრალური ბანკი, ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული კეთილდღეობის ფონდი.

აიკრძალება ყოველგვარი ოპერაციები ამ სახელმწიფო ფინანსურ ინსტიტუტებთან, ასევე ნებისმიერი გარიგებები მათ აქტივებთან.

სანქციების მიზეზებია სკრიპალის მოწამვლა ლონდონში, რუსეთის მთავრობის მხრიდან საერთაშორისო კანონების სისტემატური დარღვევა და რუსეთის აგრესია დისიდენტების და დემოკრატიული აქტივისტების წინააღმდეგ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილედ ილია ბეგიაშვილი დაინიშნა. 2014 წლიდან ბეგიაშვილი საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2014 წლამდე კი ბიზნეს-სექტორში საქმიანობდა.

ინფრასტრუქტურის მინისტრის მაია ცქიტიშვილის პირველ მოადგილედ 2 აპრილს ირაკლი ქარსელაძე დაინიშნა, რომელიც ამასთანავე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის პოსტსაც ითავსებს. ქარსელაძე მანამდე თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

2018 წლის სამ თვეში ტურისტებმა საქართველოში 561 მილიონი დოლარი დახარჯეს

ეს თანხა 2017 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 28.6%-ით მეტია.

რამდენი იყო ამ ვიზიტორებში ტურისტი.

ამ 1.4 მილიონი ადამიანიდან საქართველოში 24 საათზე მეტხანს 660 ათასი ვიზიტორი დარჩა, ეს კი წინა წელთან შედარებით 28%-ით მეტია. საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, ტურისტებად სწორედ ის ვიზიტორები უნდა ჩაითვალონ, ვინც ქვეყანაში 24 საათზე მეტი ხნით რჩებიან და ქვეყნის მომსახურების სექტორს (რესტორნები, სასტუმროები და ა.შ.) იყენებენ.

იმას, თუ რა თანხას ხარჯავენ უცხოელები, ეროვნული ბანკი ითვლის.

ქობულეთში დაცვის პოლიციის კუთვნილი ავტომობილი 8 წლის ბავშვს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა ქობულეთში – დაცვის პოლიციის კუთვნილი ავტომობილი 8 წლის ბავშვს დაეჯახა. თვითმხილველების ინფორმაციით, ბავშვი გზაზე გადადიოდა და სწორედ ამ დროს დაეჯახა ავტომობილი, რომელიც გამოძახებაზე მიდიოდა.

დაშავებულ მოზარდს დაზიანებები თავის არეში აღენიშნება, იგი რეანიმობილით ქუთაისში გადაიყვანეს.

მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მუხიანში ელექტროტექნიკის მაღაზია დაიწვა

თბილისში, მუხიანში ბენზინგასამართი სადგურის გვერდზე ელექტროტექნიკის მაღაზია დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, დამწვარია 70-80 კვ.მ. ადგილზე მობილიზებული იყო 4 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი. მათივე ცნობით, ხანძარი ლოკალიზებულია.

ქუთაისში ტრანსფორმატორების შემკეთებელ საამქროში ცეცხლი გაჩნდა

ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე ტრანსფორმატორების შემკეთებელ საამქროში ცეცხლი გაჩნდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ადგილზე მობილიზებულია 6 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი. მათივე ცნობით, ხანძარი ლოკალიზებულია.

თბილისში კლდიდან მამაკაცი ჩამოვარდა

თბილისში, 15 მეტრის სიმაღლის კლდიდან მამაკაცი ჩამოვარდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, დაშავებულს მაშველები დაეხმარნენ და საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათივე ცნობით, შემთხვევის შედეგად მამაკაცს ჩამოვარდნის შედეგად მარჯვენა ფეხის კიდური დაუზიანდა.

თეთრიწყაროში სატვირთო ავტომანქანა დაიწვა

თეთრიწყაროში, სოფელ ჩხიკვთან ახლოს, მიმდებარე გზაზე სატვირთო ავტომანქანა დაიწვა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. მათივე ცნობით, ხანძარი ლიკვიდირებულია.

„შსს-ს ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაკავებულის მაჯაზე არსებული საათი 02:17 საათს აჩვენებს, რაც ცრუ მოწმის ჩვენებას აცამტვერებს“

საქალაქო სასამართლოში ბუტა რობაქიძის საქმის განხილვა გაიმართა.

პროცესზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტი დაიკითხა, რომელმაც დაადასტურა, რომ ერთ-ერთი დაკავებულის მაჯაზე არსებული საათი აჩვენებს დროს 02:17 საათი, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ბრალდების მხარის მოწმის ჩვენებას, რომ გასროლიდან საათნახევრის მერე დუბლები დადგეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი უფროსი გურამ დონაძე „ნიუპოსტთან“ აცხადებს, რომ დღეს დაკითხული ექსპერტის ჩვენება საქმეში ბრალდებულისა და პროკურატურის „ოქროს მოწმის“, ზაზა ბაქრაძის ჩვენებას აცამტვერებს, რომელიც ირწმუნება, რომ საქმეში არსებული კადრები დუბლირებულია.

დონაძე სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ შედგენილ სამედიცინო დოკუმენტსაც ასაჯაროებს, სადაც ჩანს, რომ სამედიცინო ჯგუფი ადგილზე 02:22 საათზე მიდის, ბუტა რობაქიძე გარდაცვლილი ხვდება. შს მაღალჩინოსნები კი შემთხვევის ადგილზე 02:35 საათზე მიდიან.

– სასამართლო სხდომაზე გაცამტვერდა ზაზა ბაქრაძის ჩვენება, რომლის მიხედვითაც თითქოს ის შემთხვევის ადგილზე 50 წუთის შემდეგ მოვიდა და საათნახევრის შემდეგ მოიტანა ზურაბ მიქაძემ იარაღები და მე თითქოს საათნახევრის შემდეგ დავდგი ვიდეო გადაღება და ეს დუბლები თითქოს 3-4-ჯერ არის გადაღებული. დღეს კი შსს-ს ექსპერტიზამ პირდაპირ დაადასტურა, რომ ერთ-ერთი დაკავებულის მაჯაზე არსებული საათი აჩვენებს დროს 02:17 საათს ან მაქსიმუმ 02:25 საათს. ანუ ჩვენი სიმართლე კიდევ ერთხელ დადასტურდა. გასროლა დაახლოებით ამ პერიოდში ხდება, 02:22 წუთზე მიდის სასწრაფო და მას რობაქიძე გარდაცვლილი ხვდება და იარაღებიც ნაპოვნია. სატელეფონო ანძებიდან ამოღებული ინფორმაციით კი გურამ დონაძე, ზურაბ მიქაძე და ირაკლი ფირცხალავა მიდიან 02:35 საათზე, ანუ 20 წუთის ინტერვალში, – განაცხადა გურამ დონაძემ.

ზაზა სარალიძე: „მოწმემ გამოძიების მხრიდან ზეწოლაზე ილაპარაკა და თქვა, რომ მამამისს სცემდნენ“

– მოწმემ გამოძიების მხრიდან ზეწოლაზე ილაპარაკა და თქვა, რომ მამამისს სცემდნენ, – ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოკლული ერთ-ერთი მოზარდის, დავით სარალიძის მამამ, ზაზა სარალიძემ, ჟურნალისტებს დღევანდელ პროცესზე მოწმის დაკითხვის შემდეგ განუცხადა.

ბრალდების მხარემ სასამართლოში იმ პირის დაკითხვა დაიწყო, რომელიც ამავე საქმეზე მამასა და ძმასთან ერთად დანაშაულის შეუტყობინებლობაშია ბრალდებული. გარდაცვლილის მამის თქმით, მოწმის ჩვენება აქამდე ჩატარებულ გამოძიებას თავდაყირა აყენებს. გარდა ამისა, როგორც სარალიძე ამბობს, ბევრ დეტალზე არც ეს მოწმე საუბრობს.

– ამ მოწმემ პირდაპირ განაცხადა, რომ წინასწარ გამოძიებაში ჩვენება მიცემული აქვს ზეწოლის ქვეშ. თქვა, რომ გამომძიებლების და პოლიციის თანამშრომლების მხრიდან იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა. ასევე, განაცხადა, რომ მამაჩემს სცემესო. ფაქტობრივად, ყველა ჯერზე მას ცრუ ჩვენება აქვს მიცემული, ვინაიდან მასზე იყო ზეწოლა. ცდილობდა სიმართლე ელაპარაკა, მაგრამ რაც მთავარია, იმას მალავს. დაჭრის ფაქტზე საერთოდ არაფერი უთქვამს. წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში ამბობდა, რომ დაინახა, როგორ უქნევდა ჩემს შვილს დანიან ხელს, ახლა კი დანა საერთოდ არ უხსენებია, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

მოკლული მოზარდის მამას მოწმის დღევანდელი მონაყოლის სანდოობაშიც ეჭვი ეპარება.

– დღეს რაც ილაპარაკა, არც იმის მჯერა, იტყუება და იმიტომ. როგორც ასწავლეს, ისე ლაპარაკობს. ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ თავად ეს მოწმეც მონაწილეობდა ინციდენტში, დაჭრის ფაქტში, – აღნიშნა სარალიძემ.

რას ჰყვებიან თვითმხილველები ვეძისში შეიარაღებული თავდასხმის შესახებ

ზემო ვეძისში მომხდარი თავდასხმის მოტივად შურისძიება სახელდება. დაჭრილთაგან ერთი მორაგბე ლაშა საჯაიაა. გოგონა კი მისი შეყვარებულია.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში აცხადებენ, რომ ერთ-ერთი დაჭრილის მდგომარეობა მძიმეა – ფილტვში მიყენებული ჭრილობის გამო მას ოპერაცია ჩაუტარდა.

სისხლიანი ანგარიშსწორების შედეგად საავადმყოფოში სულ 5 ადამიანი მოხვდა.

დაჭრილთა ახლობლები მომხდარის ზუსტ მიზეზებზე ვერ საუბრობენ. შს სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით კი, ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

თვითმხილველების ნაწილი კი ამბობს, რომ გასროლა მიმავალი ავტომობილიდან განხორციელდა.

სახელდება BMW მარკის შავი ავტომობილი, რომლის მძღოლი ადგილიდან მიიმალა.

გამოძიება სისხლის სამართლის ორი მუხლით მიმდინარეობს – 19-109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს და 236-ე მუხლით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

როგორც ირკვევა, დაჭრილებს შორის მორაგბე ლაშა საჯაია, მისი ძმა, სპორტსმენის შეყვარებული და კიდევ ორი მეგობარია.

როგორც დაჭრილი საჯაიების მამა აცხადებს, შვილებს ესაუბრა, თუმცა მათ არ იციან, ვინ და რა მოტივით გაუხსნათ ცეცხლი.

– აზრზე არ არიან, ვიღაც იდიოტები არიან. თავისით მიდიოდნენ და ცეცხლი გაუხსნეს, ამბობენ, ნეტა ვიცოდეთ, ვინ და რა მიზეზით გვესროლა. როგორ შეუძლიათ, ასე მარტივად ესროლონ ვიღაცებს?! – აცხადებს დაჭრილი მორაგბის მამა.

მეზობლების თქმით, მათ მხოლოდ გასროლის ხმა არ გაუგიათ.

– როგორც თქვეს, ავტომობილიდან გაუხსნეს ცეცხლი, მძღოლს არც კი გაუჩერებია. ჩვენი უბნელები არ არიან. შეიძლება წარსულში რაიმე სახის უთანხმოება ჰქონდათ, აბა ერთად როგორ შეიყარა ეს ხალხი?! ასე ერთად როგორ გამოიჭირეს და ესროლეს?! – ამბობენ ადგილობრივები.

გვიან ღამით დაჭრილი ოთხი ახალგაზრდა კვლავ რესპუბლიკურ საავადმყოფოში რჩება.

ექიმის, ზვიად ძნელაძის განცხადებით, ერთ-ერთი დაშავებული – გოგონა მსუბუქად იყო დაჭრილი, რომელიც მალევე გაწერეს, ოთხ ახალგაზრდა მამაკაცს კი ქირურგიული დახმარება დასჭირდა. მათ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნებოდა.

სამედიცინო დახმარების შემდეგ ორი პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება, ორი კი პალატაშია გადაყვანილი.

ირაკლი ფირცხალავა ზურაბ ბაქრაძეს ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს

ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებული ირაკლი ფირცხალავა ამავე საქმეში ბრალდებულ ზაზა ბაქრაძეს ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს და გამოძიების დაწყებას ითხოვს.

– წინა პროცესზეც მოვითხოვე გამოძიების დაწყება, მაგრამ პროკურორებმა არავითარი მოქმედება არ განახორციელეს. როგორ შეიძლება იმ ადამიანის ჩვენება იყოს სანდო, რომელიც ამბობს, რომ ერთ-ერთ პირს ჯიბეში ხელყუმბარა ჩაუდო და არ ახსოვდეს ამ ხელყუმბარის მახასიათებლები. ამიტომ ვამბობ, რომ მან ცრუ ჩვენება მისცა, – განაცხადა ფირცხალავამ.

ირაკლი ფირცხალავას ბაქრაძემ უპასუხა და აღნიშნა, რომ მომხდარიდან დიდი დროა გასული და ამიტომ ბევრი დეტალი არ ახსოვს.

პროკურორებმა სხდომაზე რამდენჯერმე დააყენეს შუამდგომლობა, რომ ბრალდებულ ირაკლი ფირცხალავას მიერ ექსპერტისთვის დასმული კითხვები აცილებულიყო, რამაც ფირცხალავას პროტესტი გამოიწვია.

ირაკლი ფირცხალავამ სასამართლო დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

მშობლების მიმართ მოძალადეს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

სასამართლომ მშობლების მიმართ ძალადობასა და მუქარაში ბრალდებული 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახის წევრის მიმართ ძალადობასა და მუქარაში ბრალდებული მ.ჯ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111.151-ე მუხლის პირველი ნაწილით და 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 30 იანვარს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მ.ჯ. მშობლებს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, ხოლო მამამისს სახეში ხელი გაარტყა, რითაც დაზარალებულმა ფიზიკური ტკივილი განიცადა.

სამართალდამცველებმა მ.ჯ. 2018 წლის 1 თებერვალს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 111-151-ე მუხლის პირველი ნაწილით (მუქარა) და 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ხონში მღინარესთან გაჩერებულ მანქანაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ხონის მუნიციპალიტეტში, მანქანაში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. მამაკაცს თავის არეში ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული.

მომხდარის სხვა დეტალები ამ დროისათვის უცნობია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21

მედვედევი ამერიკას ემუქრება

რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა ამერიკელების ახალ სანქციებს ვერაგული დარტყმა უწოდა. როგორც ცნობილია, ამის შედეგად რუსეთის საფონდო ბირჟები ჩამოიშალა; მსხვილმა საწარმოებმა და მათმა მფლობელმა ოლიგარქებმა მილიარდობით დოლარის ზარალი განიცადეს; რუბლი დოლართან და ევროსთან მიმართებაში რეკორდულ მაჩვენებლამდე დაეცა.

– ამერიკელებს ადეკვატურ პასუხს გავცემთ, – დაიმუქრა პრემიერი.

ექსპერტების აზრით, რუსეთს არ გააჩნია საკმარისი ბერკეტები საიმისოდ, რომ აშშ-ის მსგავსი ზიანი მიაყენოს, ამიტომ ვარაუდობენ, რომ რუსეთი საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბვაზე წავა, რათა მსოფლიო დიდი ომის საფრთხით დააშინოს და კრემლისთვის სასარგებლო დათმობები დასტყუოს. მოსალოდნელია ახალი სამხედრო ავანტიურები სირიაში, უკრაინაში და ა.შ.

ოდესა: იმპერიული ძალების მანიფესტაცია ჩაიშალა

10 აპრილს ოდესაში გერმანელი და რუმინელი დამპყრობლებისგან გათავისუფლების 74-ე წლისთავი აღინიშნა. მავანი ძალები აპირებდნენ, ეს თარიღი თავიანთი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ. მზადდებოდა მანიფესტაცია წითელი დროშებითა და სსრკ-ის სიმბოლიკით.

ამან ოდესის მცხოვრებნი აღაშფოთა.

– ფიზიკურად გავუსწორდებით ყველას, ვინც ქუჩაში საბჭოთა დროშით გამოვა, ან საბჭოთა კავშირის ჰიმნს იმღერებს, – აცხადებდნენ ისინი.

ამან გაჭრა. ქალაქის მერმა ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ დაისჯება ყველა, ვინც სსრკ-ის დროშით გამოვა, ან საბჭოთა სიმბოლოებს გამოიტანს. ქალაქში მილიციის პატრულირება გაიზარდა. ექსცესებიც არ მომხდარა. იმპერიულ ძალთა მანიფესტაცია ჩაიშალა.

ოდესის ფაშისტებისაგან გათავისუფლების ღონისძიება სწრაფად დასრულდა. დიდების ბორცვზე მხოლოდ ქალაქის მერი და სასულიერო პირები შეიკრიბნენ. მათ საბჭოთა მეომრების ძეგლთან ყვავილები დააწყვეს.

ღონისძიებისას უკრაინის დროშა გამოიყენებოდა. შესრულდა მხოლოდ უკრაინის ჰიმნი.

ინციდენტი ხმელთაშუა ზღვაში

ხმელთაშუა ზღვაში ინციდენტი მოხდა. ორი რუსული ბომბდამშენი ფრანგულ ხომალდ „აქვინას“ სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა. ფრანგულმა ეკიპაჟმა თავშეკავება გამოავლინა. შეტაკება თავიდან იქნა აცილებული.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი მიიჩნევს, რომ პუტინი ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის ემზადება. ხმელთაშუა ზღვაში განხორციელებული აქციაც ერთგვარი მოთელვა იყო.

– პუტინი, რა თქმა უნდა, ომზე არ წავა. ბირთვულ ეპოქაში ეს შეუძლებელია. მაგრამ კუნთებს საკმაოზე მეტად ათამაშებს, – ამბობს პორტნიკოვი.

ექსპერტმა დასავლეთს მოუწოდა, რომ რუსეთის მიმართ მაქსიმალურად პრინციპული პოზიცია დაიკავოს.

– უკანასკნელ ხანს დასავლეთი პუტინს მისსავე ენაზე ელაპარაკება! ეს ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი საკმარისი არაა. პუტინის წინააღმდეგ მისივე მეთოდებით უნდა ვიმოქმედოთ, – განაცხადა პორტნიკოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აშშ სირიაზე დარტყმისთვის ემზადება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰიზერ მოიერტმა განაცხადა, რომ აშშ სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციისათვის ემზადება.

– ჩვენს მოკავშირეებთან ამ თემაზე ინტენსიური კონსულტაციები გვაქვს, – თქვა მოიერტმა.

აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ჯგუფი ავიამზიდ „ჰარი ტრუმენის“ მეთაურობით გამოვიდა ვირჯინიის შტატიდან და ევროპასა და ახლო აღმოსავლეთისკენ მიემართება.

ჯგუფის შემადგენლობაში ასევე შევლენ სარაკეტო კრეისერი „ნორმანდია“, სარაკეტო ხომალდები „არლი ბერკი“, „ფორესტ შერმანი“, „ფარაგუტი“, „ჯეისონ დანემი“ და „სალივანსი“.

სულ ამ ხომალდებზე 6.500 სამხედროა.

მოგვიანებით ამერიკულ ხომალდებს შეუერთდება გერმანული ფრეგატი „ჰესენი“.

პენტაგონმა ამ მანევრს გეგმიური უწოდა.

ადრე მედიაში დაიწერა, რომ სირიის სანაპიროსკენ დაიძრა 2 ამერიკული ხომალდი – „დონალდ კუკი“ და „პორტერი“, რომელთა ბორტებზეც რამდენიმე ათეული ფრთოსანი რაკეტა ტომაჰავკია განთავსებული. „დონალდ კუკს“ რუსული თვითმფრინავები მიჰყვებოდნენ.

ამერიკული ხომალდების გადაადგილების შესახებ ინფორმაცია ასადის მიერ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას მოჰყვა.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთი გააფრთხილა, რომ სირიის მიმართულებით რაკეტებს გაუშვებს.

„რუსეთი ამბობს, რომ სირიის მიმართულებით გაშვებულ ნებისმიერ რაკეტას ჩამოაგდებს. მოემზადე, რუსეთო, ვინაიდან რაკეტები წამოვა – მშვენიერი, ახალი და „ჭკვიანი“ რაკეტები. რუსეთო, შენ არ უნდა იყო მკვლელი ცხოველის პარტნიორი, რომელიც თავის ხალხს კლავს და ამით სიამოვნებას იღებს“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა „ტვიტერის“ პირად გვერდზე.

გუშინ ლიბანში რუსეთის ელჩმა ალექსანდრე ზასიპკინმა განაცხადა, რომ რუსეთი სირიის მიმართულებით გაშვებულ ამერიკულ რაკეტებს ჩამოაგდებს და დაარტყამს იმ წერტილებს, საიდანაც ეს რაკეტები იქნება გამოშვებული.

დონალდ ტრამპმა 9 აპრილს განაცხადა, რომ სირიაში ქალაქ დუმაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე სერიოზულ პასუხს გასცემს ასადის რეჟიმს 48 საათის განმავლობაში.

ფრიდომ ჰაუსი: „რუსეთს ავტორიტარული სისტემის რესურსები არ გააჩნია!“

ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ ცნობით, რუსეთში ავტორიტარული ტენდენციები ძლიერდება. ორგანიზაციის ექსპერტების აზრით, ამისი მიზეზი რუსეთში ლიბერალური მოდელის კრახი, ეკონომიკური პრობლემები და რუსეთის ხელმძღვანელობაში არსებული კონფლიქტებია.

– შედეგად დემოკრატიული ლიბერალური მმართველობის ნაცვლად, ავტორიტარული სისტემა ჩამოყალიბდა, – თვლიან „ფრიდომ ჰაუსის“ ექსპერტები.

ორგანიზაციის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ რუსეთში ავტორიტარული ტენდენციები გაძლიერდება. ამისი მიზეზია საერთაშორისო სანქციები, კოლოსალური ეკონომიკური ზარალი, ომი უკრაინასა და სირიაში და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ავტორიტარული სისტემის გადარჩენა ვერ მოხერხდება.

– რუსეთს არ გააჩნია რესურსები, რათა არსებული ავტორიტარული სისტემა გადაარჩინოს. ადრე თუ გვიან, რუსეთი არჩევანის წინაშე დადგება: ან სრული კრახი, ან ნელ-ნელა მმართველობის ლიბერალურ მეთოდებზე გადასვლა, – თვლიან „ფრიდომ ჰაუსის“ სპეციალისტები.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდები. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

კაკტუსმა დინამო დაამარცხა

კაკტუსი-დინამო 91:86
(26:26, 36:28, 12:18, 17:14)

ეს გახლდათ ამ გუნდების მე-4 და უკანასკნელი დაპირისპირება რეგულარულ ჩემპიონატში. ყველა აქამდელი მატჩი დინამოელებმა მოიგეს, ხოლო ამჯერად გამარჯვება კაკტუსს დარჩა.

კაკტუსელთა გამარჯვებას დამატებით ელფერს ჰმატებს ის, რომ გუნდს 2 ლეგიონერი აკლდა. ტრავმების გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს ამერიკელმა ფორვარდებმა – სიჯეი ჯონსონმა და ტერიკ ბრიჯმენმა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაკტუსი იმ გამონაკლისი გუნდების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ლეგიონერებზე არ არიან დამოკიდებულნი. ამერიკელი დეანდრე პარკსის წინამძღოლობით ქართველმა კალათბურთელებმა ისე მონდომებითა და შემართებით ითამაშეს, რომ გასული სეზონის ჩემპიონი და მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი დინამო დაამარცხეს. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამოელებისთვის ეს ნაგება შესაძლოა ცხრილში საბოლოოდ ცუდად აისახოს. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებია და ყველა გუნდი, ცხრილში რაც შეიძლება მაღალი ადგილის დასაკავებლად იბრძვის, რათა პლეი ოფში რეგიონის გუნდთან დაპირისპირების შემთხვევაში მოედნის უპირატესობა ჰქონდეს.

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, მისი უმეტესობა თანაბრად, რომ იტყვიან, ქულა-ქულაში წარიმართა. ლიდერი 12-ჯერ შეიცვალა და თანაბარი ანგარიშიც ამდენჯერვე დაფიქსირდა. კაკტუსელებმა მეორე პერიოდის ბოლოს უპირატესობა მოიპოვეს და დიდ შესვენებაზე 8-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ, თუმცა მესამე ათწუთეულში დინამოელებმა თამაში ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნეს და შეხვედრა კვლავ თანაბრად გაგრძელდა. ბოლო წუთებამდე გუნდები ერთმანეთის დევნით მივიდნენ – ხან ერთი გავიდოდა მცირედით წინ, ხან – მეორე. ბოლო წუთზე ყველაფერი ორმა შეტევამ გადაწყვიტა, როცა კაკტუსელებმა ჯერ შეტევაში მოიხვეჭეს დამაწინაურებელი ქულები, შემდეგ კი დაცვაში იყოჩაღეს.

საბოლოოდ 91:86 – კაკტუსმა ზუსტად იმ ანგარიშით დაამარცხა დინამო, როგორაც ამ გუნდთან პირველი წრის მატჩი წააგო და უშუალო კონკურენტებთან მიმართებაში, სატურნირო თვალსაზრისით ძალიან ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა. კაკტუსელთა უპირველესი ამოცანა ოთხეულში მოხვედრა გახლდათ, რაც ჟღენტის გუნდმა ფაქტობრივად შეასრულა, ხოლო ამ გამარჯვების შემდეგ კაკტუსს სამეულში შესვლაც თავისუფლად შეუძლია. პირველ ადგილზე მყოფი ქუთაისის შემდეგ ერთნაირი ქულებით მოდიან დინამო, რუსთავი და კაკტუსი – სამივე მათგანს აქტივში 17 მოგება და 10 მარცხი აქვს.

რაც შეეხება მატჩის გამორჩეულ მოთამაშეებს: დეანდრე პარკსმა 28 ქულით ბომბარდირობა არც ამჯერად დაუთმო ვინმეს. 23 ქულა ჩააგდო დავით ლომიძემ, ხოლო გიორგი ტურძილაძემ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა – 14 ქულა, 13 მოხსნა. ანატოლი ბოისამ 13 ქულა, 8 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. დინამოში 22 ქულით საუკეთესო იყო ალეკსანდრ მიტროვიჩი. 18 ქულა მიითვალა ნოდარ გოგოძემ. 17 ქულით დაასრულა შეხვედრა ილია ლონდარიძემ.

სატუნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	26	19	72184:197345	
2.დინამო	27	17	102234:2069	44
3.კაკტუსი	27	17	102230:2174	44
4.რუსთავი	27	17	102193:2096	44
5.ბათუმი	27	14	132076:1975	41
6.ოლიმპი	26	13	132018:1995	39
7.მგზავრები	26	12	142066:2163	38
8.დელტა	26	9	172113:2206	35
9.სოხუმი	26	1	251950:2413	27

გოლდენ სტეიტმა სეზონი წაგებით დახურა

გოლდენ სტეიტ უორიორსმა ნბას რეგულარული ჩემპიონატი დაასრულა. ბოლო, 82-ე მატჩი ოკლენდელებმა იუტა ჯაზთან სოლტ ლეიკ სიტიში გამართეს და 40 ქულით განადგურდნენ – 79:119. ზაზა ფაჩულიას გუნდმა რეგულარული სეზონი 58 მოგებითა და 24 მარცხით დაასრულა და დასავლეთ კონფერენციაში ჰიუსტონის კვალზე მეორე ადგილი დაიკავა.

ზაზა ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 13 წუთში 4 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 3-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. იუტადან მისმა ოპონენტმა, რუდი გობერმა 28 წუთში 13 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა.

ოკლენდელებმა კატასტროფული სხვაობით წააგეს, რაც საფუძვლიან ეჭვს აჩენს საიმისოდ, რომ გოლდენ სტეიტს თავი არ მოუკლავს. ამ მატჩის შედეგი მაინც არაფერს ცვლიდა გასული სეზონის ჩემპიონისთვის.

თუ ვინ შეხვდება გოლდენ სტეიტს პლეი ოფის პირველ წრეში, ეს მოგვიანებით გაირკვევა, როდესაც რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩები მორჩება. ოკლენდელები დასავლეთ კონფერენციაში მე-7 ადგილზე გასულ გუნდს უნდა შეხვდნენ, რომელიც შესაძლოა ამ 5 გუნდიდან ნებისმიერი იყოს – ნიუ ორლეანი, სან ანტონიო, ოკლაჰომა, მინესოტა და დენვერი.

ზოკი რომში – ბარსელონა ლიგას დაემშვიდობა

რომა-ბარსელონა 3:0

რომა. ოლიმპიკო

1:0 ჯეკო (6), 2:0 დე როსი (58პ), 3:0 მანოლასი (82)

რომა: ალისონი, ჟუანი, ფასიო, მანოლასი, კოლაროვი, სტროტმანი, დე როსი, ნაინგოლანი (ელ შაარავი 77), ფლორენცი, შიკი (უნდერი 73), ჯეკო

ბარსელონა: ტერ შტეგენი, სემედუ (დემბელე 85), პიკე, უმტიტი, ალბა, რაკიტიჩი, ბუსკეტსი (ალკასერი 85), ს.რობერტო, ინიესტა (გომეში 81), მესი, ლ.სუარესი

ბარსელონასა და მისი გულშემატკივრების პატივისცემის მიუხედავად, რომში კატალონიური კლუბი დიდი გუნდის აჩრდილი იყო. მწვრთნელიდან დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული. ყველასთვის მოულოდნელად, ბარსელონამ ანგარიშის შენარჩუნებაზე ითამაშა. ეს არ იყო ბარსა და უფრო საკუთარ ჩრდილს გავდა. მხოლოდ მატჩის ბოლოს, როდესაც თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო, ოდნავ გამოფხიზლდა, მაგრამ არც დრო ეყო და ვერც თავისი მაღალი კლასი გამოავლინა სრულად. გვიანი იყო და მდგომარეობის გადარჩენა ვეღარ მოახერხა. აქამდე არ გვინახავს, რომ ამ ფორმაციის ბარსას ამდენი პრობლემა შექმნოდა.

რომამ ისევ რთულად მოიგო, როგორც მერვედფინალში და 32 წლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. თუმცა, აქ მთავარია, რომ რომაელებმა ტურნირიდან გამოაგდეს უმთავრესი ფავორიტი – მესი და კამპანია.

ვინ იფიქრებდა ამას? ალბათ არავინ... რაღაცნაირად პარადოქსულად ჩანს – შემტევი, ღონიერი ბარსელონა, რომელიც დიდებულ სეზონს ატარებს და აქამდე მარცხის გემო არ ჰქონდა განცდილი, გამოვარდა ტურნირიდან, რომლის პირველი მატჩი 4:1 ჰქონდა მოგებული. ეს კოშმარული სიზმარია.

თუმცა, ვიყოთ გულახდილნი და ვთქვათ, რომ მასპინძლები ოლიმპიკოზე უკეთესები იყვნენ. მათ დაიმსახურეს ეს მოგება. რომას ფეხბურთელები გმირები არიან, ბარსელონამ კი მწარე გამოცდილება მიიღო. სუპერ-მანქანას ძრავმა შუა გზაზე უმტყუნა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კოსტას მანოლასი

ბერძენმა მცველმა რომაელებს გემრიელი ვახშამი მოუმზადა. შესაძლოა, ბევრი შეცდომაც ჰქონდა, მაგრამ მატჩის დასკვნითი ნაწილი მისი იყო. მან გაიტანა გადამწყვეტი გოლი ტერ შტეგენის კარში, ხოლო როდესაც ბარსამ დაწოლა გააძლიერა, მანოლასი დაცვაში კედელივით იდგა და არ გაატარა არც ერთი ბურთი, რომელიც ხიფათს მოუტანდა მის გუნდს.

ეუსებიო დი ფრანჩესკო:

– ჩვენი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ წინ ვიყურებით. კვირას დერბი გველის. წაგებებზე და სოციალურ ქსელებში გამონათქვამებზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, ამიტომ ეს გამარჯვება შემიძლია მივითვისო. თუ სერიოზულად ვიტყვი, ტაქტიკა (3-4-1-2) გამიზნულად ავირჩიე, რათა გაშლილად, ფართოდ შეგვეტია. გაწეული სამუშაოს ნაყოფს ვიმკით. რა თქმა უნდა, გვჯერა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავალთ. რატომაც არა? ისე შორს გავედით, რომ აქ არავინ არ გველოდა. თამასა უნდა ავწიოთ.

ერენსტო ვალვერდე:

– სეზონი გრძელია, თუმცა ეს ფეხბურთია. ხანდახან კარგად თამაში გამოგდის, თუმცა არის ცუდი დღეებიც. ჩვენ ყველანი იმედგაცრუებულნი ვართ და ამ წარუმატებლობაზე პასუხს ვაგებთ. თუმცა, წინ კიდევ 2 ტურნირი გველის. ჩვენ რომასთან გამართულ შეხვედრაში ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთ. რომაელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა წარმატებისთვის მიეღწიათ. ჩვენ ბოლოს დროც კი არ დაგვრჩა, რომ ყველაფერი გამოგვესწორებინა.

სიტი-ლივერპული 1:2

მანჩესტერი. ეტიჰადი

1:0 ჟეზუსი (2), 1:1 სალაჰი (56), 1:2 ფირმინო (77)

სიტი: ედერსონი, ლაპორტი, ოტამენდი, უოკერი, დავიდ სილვა (აგუერო 66), დე ბრუინი, ფერნანდინიო, ბ.სილვა (გუნდოგანი 74), ზანე, ჟეზუსი, სტერლინგი

ლივერპული: კარიუსი, არნოლდი (კლაინი 81), ვან დეიკი, ლოვრენი, რობერტსონი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, ვეინალდუმი, მილნერი, სალაჰი (ინგსი 89), ფირმინო (კლავანი 81), მანე

აქ უკვე სენსაცია არ შედგა. „ენფილდზე“ განადგურების შემდეგ სიტიმ გმირობის ჩადება ვერ მოახერხა. ისეთის, როგორიც ლივერპულმა 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში შეძლო. როგორც ჩანს, მსგავსი გმირობის ჩადენა მხოლოდ მერსისაიდელებს შეუძლიათ.

არადა, ამ გმირობისთვის დასაწყისი გამოჩნდა – სიტიმ უკვე მე-2 წუთზე მოახერხა გოლის გატანა და გულშემატკივარი სასწაულის მოლოდინში გაირინდა. თუმცა, ჯადოქრები იმ დღეს რომში იყვნენ გადახვეწილნი და სიტისთვის არ ეცალათ.

სიტის დამარცხებაში თავისი წვლილი მსაჯმაც შეიტანა, როდესაც პირველი ტაიმის ბოლოს ლეროი ზანეს მიერ გატანილი გოლი გააუქმა. ერთი შეხედვით თამაშგარე მდგომარეობა კი იყო, მაგრამ ზანეს ბურთი მეტოქის ფეხბურთელისგან მიუვიდა. გოლი არ ჩაითვალა, სიტიმ კი „ბონუსად“ ისიც მიიღო, რომ მოედნიდან გააძევეს უკმაყოფილო პეპ გვარდიოლა.

მეორე ტაიმში უმწვრთნელოდ დარჩენილ სიტის კი ლივერპულმა 2 გოლი გაუტანა – მოჰამედ სალაჰმა და რობერტ ფირმინიომ მატჩის ბედი მის დასრულებამდე გადაწყვიტეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სადიო მანე

სენეგალელმა, ისევე, როგორც ლივერპულის სხვა ფეხბურთელებმა, მატჩი ცუდად დაიწო, მაგრამ ყველაზე ადრე მოვიდა გონს. მისი დამსახურებაა ლივერპულელთა პირველი გოლი, რომლის შემდეგ ნათელი გახდა შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა.

იურგენ კლოპი:

– პრობლემები მეორე ტაიმში მოვაგვარეთ. პირველ ტაიმში 2-3 მომენტი გვქონდა. მეტოქემ გარისკა ექსპერიმენტალური შემადგენლობის დაყენებისას. შესვენების მერე უფრო კომპაქტურად ვითამაშეთ. რა თქმა უნდა, ცუდი გუნდი არ ვართ, მაგრამ სამუშაო კიდევ გვაქვს. დამსახურებულად გავედით შემდეგ ეტაპზე. სიტის 5 გოლი გავუტანეთ და მხოლოდ 1 გავუშვით. ეს თითქოს დაუჯერებელია. სადიო მანე დღეს შესანიშნავი გახლდათ. დაბადების დღეზე საკუთარ თავს ჩინებული საჩუქარი გაუკეთა. ბობი ფირმინო და მანე შეუდარებელნი იყვნენ. ყურებს ვერ დავუჯერე, როდესაც ბარსელონას ამბავიც გავიგე. რომამ სალაჰი დაკარგა და მაინც გავიდა ნახევარფინალში. ეს დაუჯერებელია...

პეპ გვარდიოლა:

– ვულოცავ ჩემს ფეხბურთელებს ბრწყინვალე თამაშის ჩვენებას. მათ ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ახლა მხოლოდ პრემიერ ლიგაზე უნდა გადავიტანოთ აქცენტი. მსაჯს ვუთხარი, რომ სანემ ნაღდი გოლი გაიტანა. ამისათვის გამაძევა. ანგარიში რომ 2:0 გამხდარიყო, ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა. სალაჰს შეუძლია თამაშგარედან „ენფილდზე“ გოლი გაიტანოს, ჟეზუსს კი – არა. ამ ტურნირზე გუნდები იმდენად თანაბარძალოვანნი არიან, რომ მატჩის ბედი რეფერის შეუძლია გადაწყვიტოს. ჩემპიონთა ლიგის მოგებას მომავალ წელს ვცდით. ვულოცავ ლივერპულს გამარჯვებას და იმედია, ინგლისს ღირსეულად წარმოადგენს ნახევარფინალში.

შედეგები

10 აპრილი

ფეხბურთი

ეუფას ჩემპიონთა ლიგა

სიტი-ლივერპული	1:2
რომა-ბარსელონა	3:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ასტონ ვილა-კარდიფი	1:0
ბარტონი-ჰალი	0:5
ბრისტოლი-ბირმინგმი	3:1
იფსვიჩი-ბარნსლი	1:0
ქარ-უენსდი	4:2
ნოტინგემი-ბრენტფორდი	0:1
პრესტონი-ლიდსი	3:1
სანდერლენდი-ნორვიჩი	1:1
ფულემი-რედინგი	1:0
შეფილდი-მიდლსბრო	2:1
ბოლტონი-მილუოლი	0:2

მეოთხე. აღსავენსაა

გიოტებორგი-ჰამარბი	1:2

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

კოტე მიქაუტაძე მოედანს მაისში დაუბრუნდება

ბორჯღალოსანთა მეორეხაზელი კოტე მიქაუტაძე რეაბილიტაციის კურსს გადის. მისი აღდგენითი პროცესი კარგად მიდის და თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება, მოედანს მაისში დაუბრუნდება.

26 წლის მორაგბე თებერვალში, ინგლისის ნაკრებთან ერთობლივი წვრთნისას დაშავდა. ამჟამად ის ბიარიცის მახლობლად, ცნობილ სარეაბილიტაციო ცენტრში იმყოფება და იქ 24 აპრილამდე დარჩება.

კოტე მიქაუტაძე:

– საქართველოს ნაკრებთან ერთად ინგლისელებთან 3-დღიანი ვარჯიშების ბოლო დღეს დავშავდი. ერთ-ერთ ეპიზოდში, მოლში შესვლისას თავით ძლიერად დავეჯახე და კისრის მეექვსე მალა გამებზარა. მეორე დღეს ბიჭები გერმანიაში სათამაშოდ გაემგზავრნენ, მე კი საფრანგეთში ოპერაციის გასაკეთებლად ჩავედი. ოპერაციის შემდეგ კისერი დამიფიქსირეს და 4 კვირა არაფერი მიკეთებია. მერე ქირურგმა გამსინჯა და რადგან ყველაფერი კარგად მიდიოდა მომცრო ზომის ფიქსატორი დამიყენა, მასაჟები დამიწყეს და ველოსიპედით ვარჯიშის უფლებაც დამრთეს. ახლა სარეაბილიტაციო ცენტრში ვარ და აქ 24 აპრილამდე ვრჩები. დატვირთვებმა მოიმატა და უკვე ცოტა-ცოტა ძალოსნურ ვარჯიშებსაც ვასრულებ. ექიმები ამბობენ, რომ ყველაფერი კარგად მიდის.

მიქაუტაძისთვის ინგლისელებთან ერთობლივი წვრთნები 3-თვიანი ტრავმით დასრულდა, თუმცა მიაჩნია, რომ გუნდმა ამით დიდი სარგებელი მიიღო:

– მთავარი ის იყო, რომ თავდაჯერებულობა მოგვემატა. დავინახეთ და ვირწმუნეთ, რომ დიდ გუნდებთან უფრო მეტის მიღწევა შეგვიძლია. 15-15-ზე გვქონდა სამფაზიანი შეტევები, რაქში თამაშის გარეშე და ლელო არ მივიღეთ. თამაში არ გააჩერეს და თავი უფრო მეტი ფაზის დროსაც დავიცავით. ჩვენი ჯერი რომ დადგა, სამ ფაზაში ერთი ლელო გავუტანეთ. ინგლისელები გაგიჟებულები იყვნენ.

საფრანგეთის ტოპ 14-ში რეგულარული პირველობა 5 მაისს სრულდება, ორ კვირაში კი ფლეი ოფები იწყება. რეგულარული გათამაშების დასრულებამდე 4 ტურით ადრე, კოტე მიქაუტაძის, მიხეილ ნარიაშვილისა და დუდუ ქუბრიაშვილის „მონპელიე“ ტოპ 14-ის სატურნირო ცხრილს 71 ქულით ლიდერობს. ის უახლოეს მდევარს 5 ქულით უსწრებს და დიდი ალბათობით, ფლეი ოფში პირველი-მეორე ადგილით გავა, რაც ბრძოლის პირდაპირ ნახევარფინალიდან გაგრძელებას ნიშნავს. ამ დროისთვის კოტე სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს, მაგრამ ჯერ არ იცის, ათამაშებენ თუ არა:

– თუ არაფერი გართულდა, ფლეი ოფებისთვის მზად უნდა ვიყო, მაგრამ ეს ისეთი პერიოდია, ალბათ თამაში არ მომიწევს. ძალიან ბევრი ახალი მოთამაშე გვყავდა. ახლა ისინი შეთამაშდნენ, მწვრთნელებმაც ახალი სისტემა დანერგეს და ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ტოპ 14-ში შესაძლოა მთელი სეზონი პირველ ადგილზე იყო და ბოლოს ის გადამწყვეტი წაგო, ჩემპიონობა სხვას გადაულოცო. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა და ამიტომ ვთვლი, რომ შანსები ყველასათვის თანაბარია. გაიმარჯვებს ის, ვინც გადამწყვეტ თამაშში ფსიქოლოგიურად უკეთ იქნება მომზადებული.

მერაბ ნინიძე ამერიკულ სერიალში ითამაშებს



ქართველი მსახიობი მერაბ ნინიძე პოპულარულ ამერიკულ სერიალში „ჰოუმლენდი“ (სამშობლო) ითამაშებს.

მერაბ ნინიძე სერიალის მეშვიდე სეზონში მიიღებს მონაწილეობას. მისი პერსონაჟი სერიალის მეშვიდე სეზონში გამოჩნდა, თუმცა მაშინ მხოლოდ მისი ხმა ისმოდა. მეთერთმეტე სერიაში კი მერაბ ნინიძე რუსი დაზვერვის მაღალჩინოსნის როლს შეასრულებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კანადელები სპინერების კვერცხებით ჩანაცვლებას აპირებენ

კანადურმა კომპანიამ 100 ათასი დოლარი შეაგროვა მედიტაციისთვის განკუთვნილი კვერცხების საწარმოებლად. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პროექტმა გამოცხადებულზე ათჯერ მეტი თანხა შეაგროვა.

კომპანია Orijin Design-მა გამოგონებას „კვერცხი განსჯისთვის“ უწოდა და საცდელი ნიმუშები სხვადასხვა ბუნებრივი

მასალების: ხის, ლითონის და ქვისგან დაამზადა. ყოველ მათგანს თავისი დანიშნულება აქვს: ქვის – დამამშვიდებელია, ლითონის – აღსადგენია, ხის – კონცენტრაციისთვისაა განკუთვნილი. ასევე გამომგონებლებს კვერცხის ლავის ქვისგან დამზადებაც აქვთ დაგეგმილი.

მედიტაციისთვის განკუთვნილი აქსესუარი ადვილად თავსდება ჯიბეში: მისი დიამეტრი 17 მილიმეტრს შეადგენს, ხოლო სიმაღლე – დაახლოებით 23 მილიმეტრია. ერთი კვერცხის ფასი 13 დოლარი იქნება.

მისი შემქმნელების ჩანაფიქრით, კვერცხების თითებს შორის გადაგორება, მაგიდაზე გორაობა და მუჭაში მოთავსება შეიძლება. კვერცხი განკუთვნილი იქნება მათთვის, ვისაც სურს შეჩერდეს, ჩაფიქრდეს და საკუთარ თავზე კონტროლი არ დაკარგოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფიფას ტურნირებს ეცილებიან

შესაძლოა, მსოფლიო ფეხბურთში დიდი გადატრიალება მოხდეს. ჰორიზონტზე გამოჩნდა ახლო აღმოსავლეთისა და აზიის საინვესტიციო ფონდი, რომელსაც 25 მილიარდ დოლარად, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გაფართოებული ვერსიისა და ეროვნული ნაკრებებისთვის გამიზნული მსოფლიოს ლიგის შექენა სურს. როგორც უცხოური მედია წერს, ეს ინფორმაცია ფიფას პრეზიდენტმა ჯანი ინფანტინომ საბჭოს სხდომაზე გაამხილა.

ეს ამბავი ცნობილი მარტში იყო, მაგრამ აქამდე არ ხმაურდებოდა. ინფანტინომ საბჭოზე ინვესტორის დასახელებისგან თავი შეიკავა, მაგრამ წევრებს აცნობა, რომ ისინი საკითხის მაქსიმალურად სწრაფად გადაწყვეტას ითხოვენ. ამიტომაც გამორიცხული არ არის, რომ ეს ცნობა პრესისთვის თავად მათ მიეწოდებინათ.

ჩვენი მხრივ შეგახსენებთ, რომ ამჟამინდელი ფორმატით, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში 6 კონტინენტური კონფედერაციის 7 კლუბი მონაწილეობს. ტურნირი ყოველი წლის დეკემბერში, ათი დღის განმავლობაში ტარდება. ამავდროულად, ფიფაში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის განახლებულ პროექტზე მუშაობენ, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს. მასში მონაწილეობას მსოფლიოს 24 კლუბი მიიღებს: 12 ევროპიდან, 5 – სამხრეთ ამერიკიდან, 2-2 – აზიიდან, აფრიკიდან და ჩრდილოეთ ამერიკიდან.

ასევე არსებობს ინფორმაცია, რომ ფიფაში ე.წ. მსოფლიოს ლიგის შექმნაზე ფიქრობენ. დაახლოებით უეფას ერთა ლიგის მსგავს ტურნირზე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გაიმართება.

ფიფას ისტორიაში არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ ორგანიზაციას მესამე მხარეზე გაესხვისებინოს თავისი ტურნირი ან ვინმესთვის დაეთმოს მისი კონტროლის უფლება. რა მოხდება ამჯერად? უფლებების შეძენის შემთხვევაში, ინვესტორები სრულებით გააკონტროლებენ აღნიშნულ ტურნირებს. ისინი გახდებიან შეჯიბრებების ორგანიზატორები და თავადაც შეარჩევენ ტურნირის გამართვის ადგილს. ეს კი ფიფას იმიჯზე იმოქმედებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

12 აპრილისთვის

ვერძი – რისკი გაუმართლებელია, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. დაკისრებული მოვალეობები ყურადღებით შეასრულეთ. **ჯერო** – ნებისმიერი კონტაქტისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კარგი იქნება აქტიური დასვენება და გართობა. **ტყუპები** – წარმატებას მიაღწევთ, თუ დღეს დილიდანვე დაგეგმავთ. საქმიანი შეხვედრებისათვის დღის პირველი ნახევარი შეარჩიეთ. **კირჩხიბი** – სიფრთხილე და წინდახედულობა აუცილებელია. მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **ლომი** – მძიმე დღეა, პირადი ურთიერთობები დაძაბულია. საჯარო მოხელეებს მუშაობისას დიდი მონდომება და ყურადღება მართებთ. **ქალწული** – ბევრი პრობლემა გექმნებათ, თუმცა მათ მოგვარებას შეძლებთ. იყავით ოპტიმისტი. **სასწორი** – მოქმედების ტაქტიკა შეიმუშავეთ და საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მიღებულ ინფორმაციას გადამოწმების გარეშე არ ენდოთ. **ღრიანკალი** – დღის ყურადღების ცენტრში სამსახურებრივი საქმეებია. ჯანმრთელობას სათანადო დრო დაუთმეთ. **მშვილდოსანი** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. ოჯახშიც და სამსახურშიც ყველაფერი კარგად გაქვთ. **თხის რქა** – ბიზნესპარტნიორებთან შეხვედრები სასურველი არ არის. არც ახალი ნაცნობობა გაამართლებს. ფინანსური ოპერაციებისათვის სხვა დრო შეარჩიეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო ენერგია მცირდება. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე, დაისვენეთ მყუდრო, კეთილი ადამიანების გარემოცვაში. **თევზები** – ახალი იდეების რეალიზება გაგამდიდრებთ როგორც მატერიალურად, ისე სულიერად. მამაკაცები რომანტიკულ შეხვედრას ელოდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 2. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი; 3. ფრანგი მოქანდაკე, ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 8. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 11. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 12. ესპანეთის ნაკრების და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 16. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 17. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 18. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო.

თარაზულად: 1. ჰაერში დაგროვებული, შესქელებული წყლის ორთქლი; 5. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 7. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და საფრანგეთის „პ.ს.ჟ.-ს“ ფეხბურთელი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. ვენეციური ნავი; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 15. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. კერძო მეწარმე სოფლად; 20. ბადაგისგან მომზადებული ტკბილეული; 21. კინოფილმების „ჩერმენის“, „დავით გურამიშვილის“ კინორეჟისორი; 22. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კაპიტანი; 2. ოცელოტი; 3. რისკი; 4. კეტჩერი; 5. რუბრიკა; 10. რეპტილია; 11. სანგვინიკი; 12. ალტინგი; 15. აბსოლუცია; 16. აიაქსი; 17. სურჩინა; 20. ტენგე.

თარაზულად: 6. ჰალუცინაცია; 7. ნეპტუნი; 8. ალიგოტე; 9. კათეტი; 13. საკე; 14. მარულა; 18. ფიროსმანი; 19. ზურნა; 21. ლეგია; 22. ღიღინი; 23. განდეგილი; 24. აგასფერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. მალთაყვა; 4. იზორია; 6. თუთიყუში; 8. დიჟონი; 11. კელასური; 12. ბორჯომი; 16. დელტა; 17. ჰერტა; 18. ვაშლი.

თარაზულად: 1. მესხეთი; 5. გოეთე; 7. მალხაზი; 9. ასტურია; 10. კრედიტი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. მომა; 19. ოჯალეში; 20. ბენეფისი; 21. სალუქვაძე; 22. დინარი.

განო მელითაური კოტე თოლორდავაზე: „დედამიწაზე გავლით იყო“

მსახიობ კოტე თოლორდავას გარდაცვალებიდან 3 წელი გავიდა. მისი გარდაცვალების დღეს მეუღლე განო მელითაური სოციალურ ქსელში ჩანაწერს აქვეყნებს:

– დედამიწაზე გავლით იყო, ვერ დაეტია ცისფერი ბურთის მავთულხლართებში, ფეერიული, სანუკვარი დაუვიწყარი დღესასწაული აჩუქა სამყაროს, რომელმაც 11 აპრილს უკითხავად წამართვა სათავისოდ.

რჩეულები ფარვანებს ჰგვანან.. სულერთია, ახსოვთ თუ არა. პირობითია საჯარო დატირება, გლოვა და სტატუსები! სამყაროს სიკეთის ენერგია სათავისოდ მიაქვს, რათა გაასმაგებული ათინათებით დაუბრუნოს კაცობრიობას...

იქ , სადაც ერთი დიიიიიიიიიიიიიიიიდი სივრცეა სიყვარულისთვის, სადაც არ არსებობს დრო და მატერია, მისი გული ძგერას განაგრძობს! ბედნიერი ვარ, რომ 8 სიცოცხლით სავსე წელიწადი ვაჩუქეთ ერთმანეთს, რომელიმე მზის ან გალაქტიკის მემილიონე განზომილებაში უკვე სახეცვლილები და დაბრძენებულები აუცილებლად შევხვდებით დანკო.

ია ფარულავა პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას უარყოფს

მსახიობი ია ფარულავა ხანმოკლე პაუზის შემდეგ, კვლავ ტელეეკრანს დაუბრუნდა და სულ მალე „რუსთავი 2“-ის ეთერში ახალ გადაცემას წაიყვანს. გადაცემას „ფარული კონვერტი“ ჰქვია და იქ მიწვეულ სტუმრებს სოლიდური თანხის მოგების სანაცვლოდ, მხოლოდ სიმართლის თქმა ევალებათ.

მას შემდეგ, რაც ია ფარულავას გადაცემის სარეკლამო რგოლი გამოჩნდა, მისმა მაყურებელმა დაასკვნა, რომ მსახიობმა პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რაც იამ კატეგორიულად უარყო:

– მას მერე, რაც ჩემი გადაცემის პრომო გავიდა ეთერში, ხმები დადის, იამ პლასტიკური გაიკეთაო. არა ბატონო, ჯერ არა. პირველები თქვენ გაიგებთ, მერწმუნეთ... და არც იმ პროცედურებს ვმალავ და სულ ვწერ, რას ვიკეთებ...

ფესტივალი აღდგომიდან ამაღლებამდე მეცამეტედ გაიმართება

საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ მეცამეტედ გაიმართება და მასში მონაწილეობას ქართველ ვარსკვლავებთან ერთად უცხოელი შემსრულებლებიც მიიღებენ.

ფესტივალი მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საიუბილეო, დაბადებიდან 85 წლისთავს ეძღვნება.

„აღდგომიდან ამაღლებამდე“ 12 აპრილიდან 17 მაისამდე გაგრძელდება, თბილისიდან დაიწყება და მთელ საქართველოს მოიცავს. „აღდგომიდან ამაღლებამდე“ ტრადიციულად აღდგომის ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში იწყება და ამაღლების დღესასწაულზე სრულდება. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია გამოჩენილი ქართველი საოპერო სოპრანო იანო (თამარ) ალიბეგაშვილი, საპატიო მრჩეველი, ცნობილი პიანისტი ალექსანდრე კორსანტია.

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ტენორი ქრისტიან ბენედიქტი, ცნობილი ბარიტონი ვიტორიო ვიტელი, საგანგებოდ მოწვეული დირიჟორი ატილიო ტომაზელო, გერმანიის ქალაქ ინგოლშტატიდან სექსტეტი, რომელთან ერთადაც პირველად საქართველოში „ბაროკო მუსიკას“ წარმოადგენს იანო ალიბეგაშვილი.

უწმინდესის თხოვნით, ყოველ წელს ხორციელდება ბავშვებთან და მოზარდებთან დაკავშირებული სპეციალური საქველმოქმედო პროექტები. წელს ფესტივალის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის კონცერტი „მუსიკის ენით მოთხრობილი ზღაპრები“ გაიმართება.

ფესტივალში მონაწილეობს 3 დიდი მუსიკალური კოლექტივი: ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ცენტრალური სამუსიკო „ნიჭიერთა ათწლედის“ სიმფონიური ორკესტრი და სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“.

ფესტივალის ფარგლებში ყოველწლიურად ქართული საკომპოზიციო სკოლაც წარმოჩინდება. როგორც თბილისში, ასევე, რეგიონებში, წელს, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, შემსრულებლის და პოეტის დათო ევგენიძის საიუბილეო საღამოები გაიმართება.

ფესტივალის მრავალფეროვან პროგრამაშია აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებული გამოფენა, სამეცნიერო იდეის პრეზენტაცია, პოეზიის საღამო...

„აღდგომიდან ამაღლებამდე“ 12 აპრილს თბილისში რუსთაველის თეატრში საზეიმო გალა-კონცერტით გაიხსნება და მასში მონაწილეობას მიღებენ ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ტენორი ლიტვადან ქრისტიან ბენედიქტი, ბარიტონი იტალიიდან ვიტორიო ვიტელი და იტალიელი დირიჟორი ატილიო ტომაზელო.

14 აპრილს წარმოდგენილი იქნება რობერტ სტურუას ერთმოქმედებიანი სპექტაკლი „მარია კალასი“. გაკვეთილი, რომელიც რეჟისორის საიუბილეო 80 წლისთავს მიეძღვნება.

17 აპრილს კონსერვატორიაში ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებული დღესასწაულის აღდგენის იდეის პრეზენტაციაც მოეწყობა.

19 აპრილს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში პროექტის „მუსიკის ენით მოთხრობილი ზღაპრები“ წარდგენება გაიმართება. საქველმოქმედო საღამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდებისთვის. სხვადასხვა ზღაპრებს პატარა მაყურებლებს ცნობილი ადამიანები მოუთხრობენ.

27 აპრილს მწერალთა სახლში დათო ევგენიძის პოეზიის საღამო ჩატარდება.

3 მაისიდან ფესტივალი საქართველოს რეგიონებში გადაინაცვლებს. თელავის თეატრი დათო ევგენიძის შემოქმედებით საღამოს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ და მიწვეული მუსიკოსები მირიან ხუხუნაშვილის დირიჟორობით.

7 მაისს „ბაროკო მუსიკა“. იანო (თამარ) ალიბეგაშვილი და ინსტრუმენტული სექსტეტი გერმანიიდან საქართველოში ანსამბლის პირველ პრეზენტაციას გამართავენ.

10 მაისს ქუთაისში დათო ევგენიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართება. 11 მაისს კი ბათუმში გამართული დათო ევგენიძის შემოქმედებითი საღამო აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის 110 წლისთავს მიეძღვნება.

ფესტივალის საზეიმო დახურვა 17 მაისს თბილისში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდება, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კი გაიხსნება გამოფენა „აღდგომიდან ამაღლებამდე – სიუჟეტები ხელნაწერი მემკვიდრეობიდან“.

არჩილ სოლოღაშვილი და თიკა ფაცაცია „მხოლოდ ქართულის“ წამყვანები გახდნენ

მსახიობი არჩილ სოლოღაშვილი და მომღერალი თიკა ფაცაცია მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართული“ წამყვანები გახდნენ.

თიკა და არჩილი შოუს ერთ-ერთი ოთახის წამყვანები იქნებიან, სადაც კონკურსანტებს გაამხნევებენ და წარმატებას უსურვებენ.

არჩილის და თიკას გარდა, შოუს წამყვანები ილო ბეროშვილი და ნიკა გრიგოლია არიან. „მხოლოდ ქართული“ ეთერში უკვე გადის და საქართველოში მოგზაურობის და კონკურსანტების შერჩევის პროცესს აცნობს მაყურებელს. პირდაპირი ეთერი კი „რუსთავი 2“-ზე სულ მალე დაიწყება.

ჯანსულ კახიძის ცენტრის ხელმძღვანელობა ბრალდებებს პასუხობს

ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობა ეროვნული სიმფონიური ორკესტრისთვის განკუთვნილი წერილის დახევასთან დაკავშირებით, მათ მიმართ გავრცელებულ ბრალდებებს პასუხობს:

– 2018 წლის 4 აპრილს, ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში შემოვიდა გერმანიიდან გამოგზავნილი წერილი, რომლის კონვერტზეც აღნიშნული იყო არასწორი მისამართი (დ.აღმაშენებლის 125-127), საიდანაც პირველი ნომერი ეკუთვნის ჩვენს ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს.

კონვერტში აღმოჩნდა გერმანიაში მუსიკალური ინსტრუმენტების დაქირავების ინვოისი, რომელიც გამოწერილი იყო ეროვნული მუსიკალური ცენტრის სახელზე. ამის შესახებ უმალ ეცნობა ეროვნული მუსიკალური ცენტრის ფინანსურ განყოფილებას და შეთანხმდა, რომ წერილი წასაღებად დატოვებული იქნება სადღეღამისო დაცვის პუნქტში.

5 აპრილს დაცვის თანამშრომლებმა სხვა კორესპონდენციასთან ერთად, ეს წერილი შემთხვევით გადასცეს ჯანსუღ კახიძის ცენტრის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელმაც დაუდევრობით, მისამართის შეუსაბამობის გამო წერილი დახია და გადააგდო. მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა ეროვნული მუსიკალური ცენტრის საფინანსო განყოფილებას და ბოდიშიც იქნა მოხდილი.

10 აპრილს სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ, ამიტომ ცენტრის ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ, საჯაროდ გამოთქვამს სინანულს ჩვენი თანამშრომლის ამგვარი უპასუხისმგებლო ქმედებისთვის და ბოდიშს იხდის მომხდარის გამო. ადმინისტრაციის მხრიდან ამ პიროვნების მიმართ გამოყენებული იქნება ცენტრის შიდა განაწესით გათვალისწინებული მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი.

საჭიროების შემთხვევაში ცენტრის ხელმძღვანელობა გამოთქვამს მზადყოფნას, რომ ახსნა-განმარტებითი წერილით მიმართოს ინვოისის გამომწერ გერმანულ კომპანიას, ასევე აცნობოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მომხდარის შესახებ.

იმედია ეს ახსნა-განმარტება საკმარისი იქნება ამ სამწუხარო ინციდენტის აღმოსაფხვრელად და დაძაბულობის განსამუხტად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ქართული გეოფიზიკური სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, ელექტროსაძიებო სამუშაოების ერთ-ერთი პიონერი, გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გივი ჯაში

ბუნებით მომადლებულმა ნიჭიერებამ და მეცნიერებისადმი ერთგულებამ გივი ჯაშს ღირსეული ადგილი მიუჩინა ქართველ გეოფიზიკოსთა შორის.

ღრმა ინტელექტი, მაღალი დონის პროფესიონალიზმი, მეცნიერული და საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებში ღრმა წვდომის უნარი, მომთხოვნელობა შერწყმული კეთილმოსურნეობასთან იყო მისი ესოდენ დიდი ავტორიტეტისა და თანამშრომლების საყოველთაო პატივისცემის პირველწყარო.

სამაგალითო პიროვნების, უმწიკვლო მოქალაქის, უაღრესად პრინციპული და სამართლიანი ადამიანის, შესანიშნავი მეოჯახისა და მეგობრის, გივი ჯაშის სახელი დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების ხსოვნაში.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 აპრილისთვის

- აშშ დოლარი — 2.4011
- ევრო — 2.9474
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.375
- 100 რუსული რუბლი — 4.1707

ამინდის პროგნოზი 12 აპრილისთვის

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

3 აპრილიდან

79 ამბავი ზვიად გამსახურდია



ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

28 მარტიდან

130 ამბავი ლუდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ანეკდოტი...

შუახანს გადაცილებული მამაკაცი ცნობილ ექიმს ეუბნება:

– ექიმო, იცით, რა? მთელი ჩემი ცხოვრება ქალების სიყვარულში გავატარე. ძალიან მიყვარდა ქალები, ქერათმიანები, შავგვრემნები, ერთი სიტყვით, ყველანაირი...

– დიახ, დიახ, თქვენი მესმის, მაგრამ ვენერიული დაავადებები ჩემი სფერო არ არის...

– არა, ექიმო, თქვენ მე ვერ გამიგეთ, მე ისინი სხვადასხვანაირად მიყვარდა, მაგრამ ყველაზე მეტად მათთან სიყვარული ავტომობილებში მიყვარდა, განსაკუთრებით კი – სხვადასხვა ძვირფას ავტომობილში. თითქმის ყველა მანქანაში მოვსინჯე. ეს გამიკეთებია „ალფა რომეოში“, „პორშეში“, „იაგუარში“, „პონტიაქში“... ის ისეთი პოზებია...

– ახლა მიგიხვდით. ახლა ამის გამო რადიკულიტი გაქვთ, ართროზი...

– არაფერი მასეთი არ მჭირს, ექიმო.

– აბა, რისთვის მოხვედით?

– თქვენს „ფერარის“ ერთი დღით ვერ მათხოვებთ?

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– სადილად რა მოგიმზადო, ძვირფასო?

– ქათამი შემიწვი, – პასუხობს მეუღლე.

– კარგი, რახან ასე გინდა, იყოს ლობიო...

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს:

– ძვირფასო, ბოდიში, შემეშალა და კუჭის შემკვრელის ნაცვლად დამამშვიდებელი წამალი მომიცია.

– არა უშავს, ძვირფასო, ჩავისვარე, მაგრამ სულაც არ ვნერვიულობ...

●●●

სასტუმროს მცხოვრები მის მეპატრონეს ეკითხება:

– ეს რა ლაქაა ჩემი ნომრის ჭერზე?

– იცით რა, თქვენამდე მაგ ნომერში ქიმიკოსი ცხოვრობდა...

– ააა, ეს ქიმიკატებისგან დატოვებული ლაქაა?

– არა, ქიმიკოსისგან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ურგენ კლოპი: „ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია“

ლივერპულმა ბევრისთვის მოულოდნელად მანჩესტერ სიტის ბარიერი საკმაოდ იოლად დაძლია და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა. განმეორებით შეხვედრაში კლოპის ფეხბურთელებმა მრისხანე მეტოქე 2:1 დაამარცხეს და მატჩის შემდეგ კლოპი თავის ემოციებს არ მალავდა:

– ვამაყობ ჩვენი ფეხბურთელებით. მათ ორივე შეხვედრა იდეალურად ჩაატარეს და ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი დავამარცხეთ. ჯერჯერობით შორს არ ვიყურები, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგება ნამდვილად შეგვიძლია.

ანდრეს ინიესტამ ბარსელონადან წასვლაზე ისაუბრა

ბარსელონას ნახევარმცველმა ანდრეს ინიესტამ რომასთან მარცხის შემდეგ განაცხადა, რომ ეს მატჩი შესაძლოა მისთვის ბოლო იყოს ჩემპიონთა ლიგაში. ინიესტას თქმით, მას ასაკი ემატება, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ სეზონის ბოლოს მან ბარსელონა დატოვოს.

– ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია, მაგრამ ბევრ რამეზე ვფიქრობ და შესაძლოა კარიერა სხვა გუნდშიც გავაგრძელო, რომელიც ევროპიდან არ იქნება. ვფიქრობ, რომ ეს ჩემი ბოლო მატჩი იყო ჩემპიონთა ლიგაში, – განაცხადა ანდრეს ინიესტამ.

ვიტესის მწვრთნელი ლეონიდ სლუცკი გახდება

ჰოლანდიურ ვიტესში, რომელშიც გურამ კაშია თამაშობს, მწვრთნელი ზაფხულში შეიცვლება. ჰენკ ფრეზერი გუნდს დატოვებს და მის მაგივრად ცნობილი რუსი სპეციალისტი ლეონიდ სლუცკი იმუშავებს.

სლუცკი რამდენიმე თვის წინ ჰალ სიტიდან გაუშვეს და ის ამჟამად არსად მუშაობს. რაც შეეხება ჰენკ ფრეზერს, ის არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს, რადგან წელს ვიტესი არადამაჯერებლად გამოიყურება.

გურამ კაშია ვიტესში უკვე საკმაოდ დიდი ხანია თამაშობს და ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

89 წლის მეეზოვე ნაგვის ბუნკერებში ნაპოვნ 30 ბავშვს ზრდის

დედამიწაზე, საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც, ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად, სიკეთის კეთება შეუძლიათ.

89 წლის ჩინელი ქალი ლიუ სიაოინი ათეული წლებია, რაც მშობლიურ ქალაქში მეეზოვედ მუშაობს.

ამ ხნის განმავლობაში, ქალმა მშობლებისგან სასიკვდილოდ გამეტებული 30 ბავშვი გადაარჩინა და საკუთარი ლუკმა გაუნაწილა.

ნაგვის ბუნკერებში, ბუჩქებში და გზაზე ნაპოვნი ჩვილები ქალს სახლში მიჰყავდა და საკუთარი შვილივით ზრდიდა.

ნაბოლარა შვილი, რომელიც ახლა შვიდი წლისაა, ქალმა უზარმაზარი ნაგვის ბუნკერში იპოვა. ამ დროს 82 წლის იყო, მაგრამ სოლიდური ასაკისა და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, ბავშვის განსაცდელში მიტოვება არ უფიქრია და თავის პაწაწინა სახლში წაიყვანა.

ქალი იხსენებს, რომ პირველი შვილობილი 1972 წელს იპოვა. პირველს მეორე მოჰყვა, მესამე და საბოლოოდ, სიუ 30 ბავშვის დედა გახდა. სიუს ყველა შვილი ერთნაირად უყვარს და ცდილობს, მათგან კარგი ადამიანები აღზარდოს.

ჯოსვოხდი ১

შვეულად: 1. უბანი თბილისში; 2. დიპლომატიური წარმომადგენელი; 3. მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 4. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 5. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 11. დიდი ზომის სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. უაზრობა, შეუსაბამობა; 15. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით; 16. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 17. სომეხთა მღვდელი; 20. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 6. ქალაქის თავი გერმანიაში; 7. თვითნება, ტირანი ადამიანი; 8. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 9. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 13. თაფლგამოცლილი ფიჭა; 14. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 18. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 19. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი; 21. წრეხაზის ნაწილი; 22. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 23. ყველაზე ღრმა ტბა აფრიკაში; 24. ქართველებით დასახლებული რაიონი აზერბაიჯანში.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა